კვირა, 1917 წ. ენკენისთვის 24 (7) № 230

წელიწადი მესამე

კვირა, 1917 წ. ენკენისთვის 24 (7) № 230

ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კ ო ნ ტ ო რ ა

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა წოდებული იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

გაზეთის შინაარსი

საგულისხმო ცნობები

დემოკრატიულმა თათბირმა დაადგინა „დემოკრატიული საბჭო“ შეადგინოს, რომლის წინაშე პასუხისმგებელი იქნება ახალი სამინისტრო.

ბოლშევიკები არ მიემხრნენ ამ დადგენილებას.

დემოკრატიულ საბჭოში ეროვნებებს 25 წარმომადგენელი ეყოლებათ.

თუ დემკრატიულ საბჭოში ბურჟუაზიული პარტიები შემოვიდნენ, მათ ერთი მეოთხედი ალაგი დაეთმობათ.

ოსმალეთის ხონთქარმა დადებითი პასუხი გასცა რომის პაპის საზავო მოწოდებაზე.

მთავრობას დაუდგენია ახალი ნიმუშის ქაღალდის ფული გამოსცეს—20 მანათიანი და 40 მანათიანი.

ფინლიანდიის ახალი სეიმი თავისუფალ რესპუბლიკად აცხადებს ფინლიანდიას, რომელსაც თავისი საკუთარი პრეზიდენტი ეყოლება.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

მეთაური. რუსეთის დემოკრატიული საბჭო.

ტ. მარგველაშვილი. ქიათურის ბედი.

დ. კარიჭაშვილი. სკოლების გაქართულება.

კ. მარტვილელი. არტაანის მხარეში.

კორესპონდენცია: სამეგრელოდან.

სადგილ-მამულო კომიტეტების მოქმედება.

ქალაქთა წარმომადგენელთა თათბირი.

სკოლების ნაციონალიზაციის კანონი.

კნ. ნინო ზაქარიას ასული ნიჟარაძისა შვილებითურთ დიდი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ მეუღლისა, ხოლო მეორეთა საყვარელ მამისა

თავად ლუარსაბ (იოსებ) პაატას-ძე ნიჟარაძის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნება დღეს, წმ. ნინოს ეკლესიაში; პანაშვიდი იქმ საფლავზედ, წირვის შემდეგ. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზედ.

1—802—1

ქართული კლუბი

ქართული დრამა

წარმოდგენა № 2.

ორშაბათს, 25 სექტემბერს, ქართული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

ციმბირში

4 მოქმ. ნ. შიუკაშვილისა.

II

რაც არ მერგება არ შემერგება

1 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყისი ზუსტად 8 საათზე.

წარმოდგენაზე შესვლა შეუძლია ყველას.

მესამე ზარის შემდეგ დარბაზში აღარ შეუშვებენ.

ადგილების ფასი 3—95 კ-დან, 75 კ-მდე.

რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი.

შემდეგი წარმოდგენა შაბათს, 30 სექტემბერს, ახალი პიესა შ. დადიანისა „გუშინდელნი“.

1—776—1

ამიერ-კავკასიის ბანკში

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)

იყიდება

ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სააქციონერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.

დაწვრილებით ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4.

თ—766—5

მიიღება ხელის მოწერა

სრულიად საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მოწაფეთა ყოველ კვირეულ ჟურნალ

„მებრძოლთა ხმა“-ზე

ჟურნალი ღირს 1 წლ. 10 მან., ნახევარი წლ. 6 მან., 3 თვ. 4 მან., ცალკე ნომერი 30 კაპ. რედაქცია და კანტორა მოთავსებულია სოც.-ფედერალ. ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1) და ღიაა ყოველ დღე დილის 9—2 საათ., საღამოს 5—10 ს. წერილები და ფული ფოსტით უნდა გამოიგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, სოციალისტ-ფედერალისტთა ბიურო (ლორის-მელიქოვის ქ. № 1) გიორგი კიკნაძეს. დასაბეჭდი წერილები უნდა იყოს დაწერილი სუფთად, გარკვეულად და ერთ გვერდზედ.

1—800—1

სამუსიკო სასწავლებელი
თბილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა

(სოლოლაკის ქუჩა № 4)

მასწავლებელთა შემადგენლობა: როიალის კლასისა—აბელაშვილი ე. დ. ალეინიკოვა ვ. ვ., ანდრონიკაშვილი-ვასილიევისა მ. გ., კალაშნიკოვა ნ. ვ., ქიქოძე ე. გ., პოლტარაცკაია-მალათოვისა ე. ი., ფოგელი ე. ვ., ვიოლინისა—ვასილიევი მ. ც., ტიზენჰაუზენი პ. ა., სიმღერის (solo)—კოილოვა ვ. ი., კოლოტოვისა მ. ა., ვიოლონჩელისა—კოპელნიცკი ე. ნ., კონტრბასისა—პინსკი მ. დ. და თეორიული კლასებისა—ზ. პ. ფალიაშვილი.

სწავლის გადასახადი—როიალის, ვიოლინოს, ვიოლონჩელის კლასებში—110 მანეთი, სიმღერის—150 მ., კონტრბასის—75 მ., თეორიულ კლასებში—50 მან. მოწაფეთა მიღება სწარმოებს 25 აგვისტოდან ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, დილის 10—2-მდე და საღამ. 5—7-დე.

სწავლის დასაწყისი 4 სექტემბერს.

(1—745—1)

თბილ. ქართულ გიმნაზიის შენობაში (ვერაზე)

გაიხსნა ახალი ქართული

ქალ-ვაჟთა გიმნაზია

რუსთაველის სახელობაზე

მოწაფეთათვის სრულ უფლებიანია.

თხოვნები მიიღება ყოველ დღე. მისაღები გამოცდები სწარმოებს საანბანო, I და II განყოფილებაში. სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს.

დამაარსებელნი მასწავლებელთა ამხანაგობა.

ნ—774—3

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

დღეობით ავადმყოფებს ხად. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყბადილის ჭრა და სხ.

მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3 (1-ლი სამილიციო ნაწილი).

24—748—თ.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელეფ. № 17—21.

ე ქ ი მ ი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე.

გუნიბის ქუჩა № 41

თ—719—20

ე ქ ი მ ი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულ და ვთაშინგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

(თ—703—26)

სამკურნალო კაბინეტი

პ. ს. ფონ-ირტელისა

ქირურგიულ-ვენერიულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალი სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914“-ით და „606“-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დილით და 4½—8 საღამოთი. მიხაილოვის პროსპექტის კუთხე № 128, კრილოვის ქუჩა № 1. ოგანეზოვის სახლი. შესავალი კრილოვის ქუჩით.

ე ქ ი მ ი

გ. ი. ბარნაბე

[illegible] ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დღე, კვირა-უქმის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, [illegible] ქ. № 4. (თ.—202—)

გაზეთ „საქართველოს“

კონტორისაგან

რადგანაც დღითი-დღე სიძვირე მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოუმატოთ,

გაზეთის თითო ნომერი ღირს 15 კაპ.

წლიური ხელის მომწერლებმა ხელის მოწერის ფასი უნდა შეასრულონ 21 მანეთამდე, რომელიც უნდა გადახდილ იყოს 15 სექტემბრამდე. ვინც ამ ხნის განმავლობაში ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გზავნა მოესპობა. 1 ენკენისთვიდან გაზეთის ფასი იქნება თვეში 3 მან.

ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ვთხოვთ ფულის გამოგზავნის დროს ბანდეროლის ნომრის აღნიშვნას.

ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის

შავი ქვის მრეწველთა კრების

საბჭო

აცხადებს, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის ნებართვით 15 ოქტომბერს 1917 წელს, ქ. ქუთაისში მოწვეულია შავი ქვის მრეწველთა

მეცხრამეტე (მორიგი)

საერთო კრება

შემდეგი საკითხების განსახილველათ:

1. კრების თავმჯდომარის და მდივნის არჩევა.
2. განხილვა ანგარიშებისა: ა) საბჭოსი 4 წ., ბ) სარევიზიო კომისიის, ვ) განმანაწილებელი ბიუროსი.
3. განხილვა სტატისტიკური ცნობებისა, შესახებ ამოღებული მადნის რაოდენობისა, საწყობებზე დამზადებულ და გატანილ მადნის რაოდენობისა, დასაწყობ და გადასაზიდავ მოწყობილობისა, რომელნიც ხელთ აქვს რკინის გზის მმართველობას როგორც ჭიათურის შტოზე, ისე შოთავარ ლიანდაგზე.
4. რკინის გზის საკითხები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან მარგანეცის და სხვა საქონლის გადაზიდვის გაუმჯობესებასთან ჭიათურის შტოს საშუალებით.
5. განმანაწილებელ ბიუროს რეორგანიზაცია.
6. სახელმწიფო ბანკიდან მარგანეცის მრეწველებისათვის კრედიტის გახსნა.
7. მარგანეცის გადასაზიდავ ტარიფის დაკლება.
8. შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს მოსამსახურეთა შოთხოვნილებანი.
9. სესხის აღება შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს მოქმედების გასაგრძელებლათ.
10. საფუთო გადასახადის მომატება მრეწველთა კრების სასარგებლოთ.
11. გერმანელების კუთვნილი სალიკვიდაციო დანიშნული წარმოების შეძენა ჭიათურაში.
12. საბჭოს კანტორის ჭიათურაში გადატანა.
13. ურთიერთობა შავი ქვის მრეწველთა საბჭოსა და ჭიათურის საქალაქო თვითმართველობის შორის.
14. კითხვები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან დაშავებულ მუშათა უზრუნველყოფის საქმის წარმოებასთან.
15. თავისუფალი აფთიაქის გახსნა ჭიათურაში შავი ქვის მრეწველთა კრების ხარჯით.
16. 1917 და 1918 წლების ხარჯთაღრიცხვა და დამტკიცება.
17. არჩევნები საბჭოს მთელი შემადგენლობისა და სხვა თანამდებობის პირთა.

ქართული სრულ უფლებიანი

ქალ-ვაჟთა გიმნაზია

მასწავლებელთა კოლეგიისა

მოწაფეებს მიიღებენ პირველ სამ განყოფილებაში სადაც სწავლა სწარმოებს ქართულ ენაზე და 1, 2, 3, 4 და 5 კლ. თხოვნები მიიღება გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე 10 საათ. 1 საათამდე. ვისაც პირველდაწყებითი უმ. ღლესი სასწავლებლის გათავებისა უგამოცდოთ მიიღებენ მეხუთე კლასში.

სწავლა დაიწყება 25 სექტემბერს.

მისამართი: ალექსეევის ქ. ს. № 17. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

ახალი საკრებულო

(ყოფილი ხარფუხის კლუბი)

საზაფხულო სადგომი მიხეილის ქუჩა № 131.

კვირას, 24 სექტემბერს

ქართული ოპერეტის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

არშინ-მალ-ალან

მონაწილეობენ საუკეთესო ძალები.

1—777—1

დასაწყისი 8½ საათზედ.

თბილისი,
ენკენისთვის 24.

რუსეთის დემოკრატიული საბჭო

დემოკრატიული თათბირის უმრავლესობამ ი. წერეთლის წინადადებით თავი დაანება კოალიციის საერთო პრინციპის განხილვას და პრაქტიკულ საკითხების გარდაწყვეტით მორიგდა: სახელდობრ, აღიარებულ იქმნა, რომ მომავალი მთავრობის მოქმედება უნდა შეეფერებოდეს იმ პროგრამას, რომელიც ჩხეიძემ მოახსენა მოსკოვის სახელმწიფო თათბირს; ამასთანავე ახალი სამინისტრო უნდა პასუხისმგებელი იქმნეს დემოკრატიულ წინასწარი პარლამენტის, „საბჭოს" წინაშე, რომელსაც აირჩევს ახლანდელი თათბირი პარტიათა პროპორციული წარმომადგენლობით. ამ პარლამენტში ოთხასი ადგილიდან ერთი მეოთხედი არა სოციალისტურ, „ბურჟუაზიულ" პარტიებს დაეთმობათ, თუ ისინი ამას მოისურვებენ.

ასე მოარიგა ირ. წერეთელმა დემოკრატიული თათბირის მემარცხენენი და მემარჯვენენი... მაგრამ ბოლშევიკებმა მაინც არ უღალატეს თავიანთ ტაქტიკას და კენჭის ყრისას ირ. წერეთლის წინადადებას გაილაშქრეს...

ბოლშევიკებმა იციან, თუ რასაც ჩადიან, მათი პარტიის ძლიერება მხოლოდ იმაშია, რომ შეურიგებელ თვალსაზრისს ადგიან და არასოდეს არ უთმობენ თავიანთ მოწინააღმდეგეთ, თუნდაც ისინი სოციალისტები იყვნენ...

ბოლშევიკები ერთადერთი სოციალისტური პარტიაა, რომელსაც ჯერ მონაწილეობა არ მიუღია სამინისტროში. ამიტომ არის რომ მათ ასე ეხერხებათ დღევანდელი მთავრობის კრიტიკა და წინააღმდეგობა: ისინი თავიანთ თავს თავისუფლად სთვლიან ამ ეპოქის შეცდომებისაგან.

ბოლშევიკებს და მასთან ერთად რუსეთის განაპირა მხარეების ზოგიერთ მენშევიკებს იმედი ჰქონდათ, რომ დემოკრატიული თათბირი სოციალისტური მთავრობის დაწესებას მოითხოვდა რუსეთში, მაგრამ თათბირის გლეხურმა, სოფლურმა ნაწილმა ძლიერ ქალაქის პროლეტარიატის გაზვიადებულ კლასობრივ მოქმედებას და კვლავ კოალიციით ბურჟუაზიასთან შეთანხმების გზით სიარული...

ამიტომ არის, რომ ახლა ბოლშევიკები დემოკრატიული თათბირის და მისგან არჩეულ დემოკრატიულ პარლამენტის, საბჭოს წინააღმდეგნი არიან.

ჯერ ხნობით ბოლშევიკების წინააღმდეგობა ალექსანდრეს თეატრში შეკრებილ თათბირის ობსტრუქციაში იხატება. მალე ალბად იგი თავის ნამდვილ ალაგს მონახავს და ქუჩებში გადატანილი ბრძოლა გადასწყვეტს იმის საკითხს, თუ ვის უნდა ჩაბარდეს სიკვდილის პირას მყოფი რუსეთის დამტვრეული საჭე...

[illegible] ფინლიანდიელებმა ასწონ-დასწონეს რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა და თავისუფალ რესპუბლიკად აცხადებენ ფინლანდიას,— რომელსაც თავისი საკუთარი პრეზიდენტი ეყოლება...

ფინლიანდიის მაგალითს ალბად მალე უკრაინაც გამოუდგება... რადგან უკვე კანონად იქცა, რომ რამდენად უფრო ბოლშევიკდებიან პეტრეს ქალაქის სოციალისტები, იმდენად უფრო ემჯავრებათ ბოლშევიკობა რუსეთის განაპირა ერებს...

ჭიათურის ბედი

საქართველოში არ მოიპოვება არც ერთი დარგი, რომელსაც იმდენი მრეწველობითი და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც ჭიათურას, რომლის წარმოება უძლიერესად მოწყვლილი არის. თუ ამდენი ხანი და განსაკუთრებით ამ ომის დაწყებიდან მოყოლებული დღემდე, ჭიათურა გვაინტერესებდა ჩვენს ბრძოლაში უცხოთაგან დაპყრობილ სამრეწველო ადგილების უკანვე დაბრუნების შესაძლებლობით, თუ ჩვენ დღემდე გელზენ-კირხენისა და კავკასიის სამთამადნო საზოგადოების წარმოებათა ლიკვიდაცია გვეგონა და ბრძოლის გრძობებსა და გვეჩხებოდა ჩვენს გულისყურს, დღეს ჭიათურის ბედი, შეიძლება თამამად ითქვას, ბეწვზედ ჰკიდია. შესაძლებელია საუკუნოდ დავკარგოთ იგი. დღეს მორიგ საკითხში დასმულია ჭიათურის საბჭოს თავმჯდომარისა და სხვ. გამოძებნა და მათ თანამდებობაზე მოწვევა—არჩევა. ამით იხსენება საკითხი საბჭოს ერთგვარი რეორგანიზაციისა, მისი განახლებისა. მაგრამ საბჭოს შემადგენლობის მნიშვნელობა ჭიათურის ვითარებისათვის ცხადი იქნება ჩვენთვის მაშინ, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ თვით ჭიათურის მრეწველობის მდგომარეობას და ქართველ მრეწველთა ვითარებას.

ჭიათურის წარმოება რამოდენიმე ხარისხებათ გაიყოფება, რომელთაც საფუძვლად დამუშავებულ შავი ქვის რაოდენობა აქვს. პირველი ჯგუფი მრეწველებისა ის არის, რომელიც შესდგება წვრილ მწარმოებელთაგან, რომელთაგან ყოველი ცალკე 100 ათას ფუთს ამუშავებს ხოლმე; მეორე ჯგუფი უფრო საშუალო მწარმოებელთაგან შესდგება, სადაც შედის წარმოებელი თუ 500 ათას ფუთს ამუშავებს წლიურად; მესამე ჯგუფი უკვე მსხვილი წარმოებისაა და შესდგება იმ მწარმოებელთაგან, რომელთა დამუშავებულ შავი ქვის რაოდენობა აღემატება ნახევარ მილიონ ფუთს. აქვე აღვნიშნავ, რომ როგორც წვრილი, ისე საშუალო წარმოება ჯერ კიდევ შეურყევლად ჩვენს, ქართველ მწარმოებელთა ხელშია. საჭიროა გავიცნოთ, რა მნიშვნელობა აქვს წვრილს და საშუალო წარმოებას ჭიათურის მთელს წარმოებაში საზოგადოთ და მსხვილ წარმოებასთან შედარებით, კერძოთ*). წვრილ მწარმოებელთ მაგ. დაუმუშავებიათ 1909 წ.—3,236,000 ფუთი შავი ქვა, საშუალო მწარმოებელთ 23,610,000 ფუთი, სხვილ მწარმოებელთ მხოლოდ 9,666,000 ფუთი; პროცენტიული წილი რომ გამოვიანგარიშოთ თითო ჯგუფზე, გამოვა, რომ წვრილ მწარმოებელთ დაუმუშავებიათ 1909 წ. 8,87 პროც. მთელი დამუშავებულ შავი ქვისა, საშუალო მწარმოებელთ 64,67 პროც. და მსხვილ მწარმოებელთ კი მხოლოდ 26,46 პროც. აქედან ცხადია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჭიათურაში ქართველთა წარმოებას. ჭიათურის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ჩვენს ხელშია. აი, კიდევ ციფრები. 1912 წ. წვრილ მწარმოებელთა დამუშავებული შავი ქვის რაოდენობა უდრიდა 3,331,630 ფუთს, საშუალო მწარმოებელთა კი 19,560,170 ფუთსა და მსხვილ მწარმოებელთა დამუშავებული შავი ქვის რაოდენობა უდრიდა 12,433,000 ფუთს. ჭიათურის დამუშავებულ შავი ქვის მთელს რაოდენობას რომ შევადაროთ, გამოვა, რომ წვრილ მწარმოებელთ დაუმუშავებიათ 9,43 პროც. დამუშავებულ შავი ქვის მთელი რაოდენობისა, საშუალო მწარმოებელთ—55,38 პროც. და მსხვილ მწარმოებელთ—35,19 პროცენტი. რადგან წვრილი და საშუალო მწარმოებელნი უცილობლად ქართველებია (უმნიშვნელო გამონაკლისით) და ჭიათურის წარმოების ეს ნაწილი ქართველთა ხელშია, ჩვენ შეგვიძლია უცხოთა როლი ჭიათურის წარმოებაში გავსაზღვროთ 35,19 პროცენტით 1912 წლისათვის, თუმც მსხვილ მწარმოებელთა რიცხვში შედის რამოდენიმე ქართველი მწარმოებელიც. ესეც ანგარიშში რომ არ მივიღოთ, მთელი 64,81 პროც. ჭიათურის წარმოებისა ქართველთა ხელშია. 1913 წლის ციფრიც რომ მივიღოთ, ნორმალი დროისა და ხელშეუშლელ წარმოების ციფრი, გამოვა, რომ წვრილ მწარმოებელთ დაუმუშავებიათ—10,30 პროც.; საშუალო მწარმოებელთ—47,09 პროც. და მსხვილ მწარმოებელთ კი 42,61 პროც.; ე. ი. ქართველ მწარმოებელთა ხელშია მაინც კიდევ 57,38 პროც. ჭიათურის მთელი წარმოებისა**). აი, მორიგი ამოცანა ჭიათურის მოღვაწეთათვის: შენარჩუნება ჭიათურის ქართველთა წარმოებისა, მისი გაძლიერება, გამძლავრება სათანადო ორგანიზაციის საშუალებით. ჭიათურის ნახევარზე მეტი წარმოება კიდევ მაინც ჩვენს ხელშია! მოქმედება გვჭირია მისი საბოლოოდ შესანარჩუნებლად. ეს მაღალი ეროვნული საქმე, მისი სიძნელე და რთულობა უნდა გაითვალისწინოს ყველამ ჩვენგანმა და უწინარეს ყოვლისა, ყოველმა მრეწველმა, აწონ-დაწონის და სინდისის ქვეშ ჭიათურის წარმოებისა და მთელი იმერეთისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებას დაადგეს. მძიმე საკითხია ჭიათურის საბჭოს თავმჯდომარისა და სხვა იმის თანამშრომელთა არჩევა. ჭიათურის წარმოების ხასიათი თვითონ გვკარნახებს, რომ ჭიათურისათვის საჭირო და მიცილებელნი არიან დასავლეთ ევროპის დაახლოვებაში მცოდნენი, რომელნიც გაცნობილი იქნებიან ევროპის ბაზრებთან და ევროპელთა კომერციულ საქმიანობასთან.

ამ ჟამად, შ. ქ. მრეწველთ მძიმე რჩევები აქვთ შესაფერ კანდიდატის გამოსაძებნად. ვუსურვებთ მათ, საღსა და კეთილ გადაწყვეტილებას დადგომოდენ ჭიათურისა და მთელი იმერეთის საკეთილდღეოთ.

ტიტე მარგველაშვილი.

---

*) იხ. ჩემი ნარკვევი „საქართველოს ეკონომიური ცხოვრების მასალები" გაზ. „საქართველოში" № 84, 1916 წ.

**) იხ. „საქართველო" № 84 1916 წ. და შედარეთ იქ გამოთქმული ჩემი დასკვნები.

სკოლების გაქართულება

გამოქვეყნდა კავკასიის დროებითის საგანგებო კომიტეტის დებულება სკოლების ნაციონალიზაციის ანუ გაეროვნების შესახებ. ამ დებულებით წრეულ საშუალო სასწავლებლებისათვის სავალდებულოა ნაციონალიზაციის მოხდენა საანბანო და პირველს მოსამზადებელ კლასში, ხოლო სხვა კლასებში კი მისი მოხდენა დამოკიდებულია საპედაგოგიო საბჭოს აზრზე. თუ საბჭო დაინახავს მოსახერხებლად სხვა კლასებშიც შემოღებულ იქნას სწავლა სამშობლო ენაზე, მას ეძლევა უფლება ამ კლასებშიც გაახორციელოს ნაციონალიზაცია.

ამნაირად, რუსეთის დიდი რევოლუცია ჩვენს შვილებს აძლევს საშუალებას ისწავლონ მეცნიერება თავიანთ სამშობლო ენაზე და განვითარდნენ ბუნებრივ და ადვილად. ჭეშმარიტად, ესეთი ცვლილება სკოლის საქმეში კმაყოფილებას უნდა იწვევდეს მშობლებში და ისინი სიხარულით უნდა აბარებდნენ თავიანთ შვილებს ქართულს სკოლებში, სადაც მოზარდი თაობა იქნება თავისუფალი გონებრივის წამებისაგან და ზნეობრივის ჩაგვრისაგან. ეს ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ისმის, მომხდარა უცნაური ამბავი. თურმე ყოფილან თბილისში ისეთანი მშობლები, რომელნიც ისე შესჩვევიან ძველის მთავრობისაგან დანერგულს უკუღმართობას, რომ უარს ყოფით თავიანთ შვილებისათვის სამშობლო ენაზე სწავლა და გამოუცხადებიათ მთავრობისთვის თავიანთ სურვილი, რომ მათი შვილები სწავლობდნენ გიმნაზიაში არა ქართულს განყოფილებაში, არამედ რუსულში.

ეს ისეთი უცნაური ამბავია, რომ ადამიანს არ სჯერა მისი სინამდვილე. მართლაც, რა დასაჯერებელია, რომ ორს სასწავლებელში მშობელი თავის შვილის ასაზრდელად არჩევდეს იმ სასწავლებელს, სადაც სწავლება იქნება უცხო ენაზე, და უარს ჰყოფდეს იმ სასწავლებელს, სადაც სწავლება იქნება სამშობლო ენაზე. ამისთანა უცნაურობას უნდა რამე მიზეზი ჰქონდეს და, როგორც შევიტყვე, ჰქონია კიდეც. თურმე ნუ იტყვით, ზოგიერთი ვაჟბატონები, რომელთაც ქართველებთან არაფერი საერთო აქვთ-რა, აგონებენ ქართველს მშობლებს, ვითომ გიმნაზიის ქართულს განყოფილებაზე ნასწავლს ბავშვებს კურსის გათავების შემდეგ არ ექნებათ არავითარი უფლება, ვითომ ამ განყოფილებაზე არ ისწავლება რუსული ენა და ვითომ ქართულს ენაზე სწავლა დროებითი იყვეს და არც მოხერხდებოდეს რიგიანად. ასეთს ცნობებს აძლევენ ქართველს მშობლებს თურმე გიმნაზიებთან ძალიან დაახლოვებულნი პირნი და, სამწუხაროდ, მშობლებიც უჯერებენ მათ. ესენი ვერ მიმხვდარან, რომ ამისთანა ცნობების მიმცემი ადამიანები არიან ქართველების მოძულენი და ძველის მთავრობის ერთგულნი მიმხრენი, რომ იმათ სურვილი არის ხელი შეუშალონ ჩვენში სასწავლებელთა გაქართულებას და დაიცვან ძველი სასკოლო წესწყობილება. ამასთან ცხადია, იმ მშობლებს რომელნიც უარჰყოფენ სამშობლო ენაზე სწავლა-განათლებას, არ ჰქონიათ საკმარისად არც განათლება და არც განვითარება, რომ შეეგნოთ როგორც უკუღმართობა თავიანთ საქციელისა, ისე სიცრუე და მზაკვრობა მრჩეველებისა.

მართლაც, რა წარმოსადგენია, რომ თვით მთავრობამ გამართოს თავის ხარჯით ქართული სასწავლებელი და მაში აღზრდილს ყმაწვილებს არ მისცეს ის უფლებანი, რომელნიც ექნებათ რუსულს სკოლაში გაზრდილებს, ან რა წარმოსადგენია, რომ რუსის მთავრობამ არ ასწავლოს რუსული ენა იმ სასწავლებელში, რომელსაც თავის ხარჯით ხსნის, ან რა დასაჯერებელია, რომ იგივე მთავრობა სათამაშოდ მართავდეს ეროვნულს სკოლებს, თუ მას იგი სასარგებლოდ და აუცილებლად არ მიაჩნდეს სახელმწიფოსთვის?!

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი წარმოუდგენელი და დაუჯერებელია. მთავრობის მიერ გამართულს ქართულს სკოლაში ნასწავლებს ისეთივე უფლება ექნებათ, რაც რუსულს სკოლაში ნასწავლებს, რუსული ენა, როგორც საგანი, ქართულს სკოლაში ისე კარგად იქნება დაყენებული, რომ საშუალო სასწავლებელში კურს-დამთავრებულებმა კარგად იცოდნენ იგი. ქართულად სწავლა-განათლება სათამაშოდ კი არ არის მოგონილი ახალის მთავრობის მიერ, არამედ იმიტომ, რომ ქართულს ენაზე ნასწავლი ახალგაზრდები ფრიად საჭირონი არიან დღეიდგან, როდესაც ქართულს ენას ენიჭება სახელმწიფო ენის თანაბარი უფლება და ხმარებული ხდება ჩვენის ქვეყნის სასამართლოებში, სამმართველოებში, სასწავლებლებში, საერობო და საქალაქო თვითმართველობაში და კერძო დაწესებულებებში. რუსეთის სახელმწიფოს ინტერესი თხოულობს, რომ საქართველოში ქართულის კარგი მცოდნეები იყვნენ მოხელეებად, ხოლო ჩვენ ქართველების პირადი ინტერესი მოითხოვს, ჩვენი შვილები კარგი მცოდნენი იყვნენ სამშობლო ენისა, რომ შეეძლოთ სამშობლოში ცხოვრება და სამსახური.

ვისაც ეს არა აქვს შეგნებული და არ სჯერა ჩვენი ნათქვამი, იმას არ ჰქონია შეგნებული არც ახლანდელის დიდის რევოლუციის მნიშვნელობა და არც დაჯერებული ყოფილა ამ რევოლუციისაგან მოსალოდნელის სიკეთის განხორციელებაში. იგი ისევ ძველის რეჟიმის ბრჭყალებში ყოფილა და მის სუსხის შიშით ვერ გამორკვეულა ვერც ზნეობრივ და ვერც გონებრივ. ის ქართველი, რომელიც ახლა უარს ჰყოფს ქართულს სკოლას და თავის შვილებისთვის არ ნდომულობს სამშობლო ენაზე სწავლას, არის არა მარტო სამშობლოს უარმყოფელი და მოღალატე, არამედ თავის შვილების მტერიც.

ჩვენ არ გვგონია, რომ ქართველს მშობლებს ქართულის სკოლის უარყოფა მართლა სამშობლოს ღალატით ან შვილების მტრობით მოსდიოდეთ. დარწმუნებული ვართ, რომ ამის მიზეზია საქმის გაუგებრობა და შეცდომა, რომელშიაც მშობლები შესულან ქართველების მოძულეთა რჩევით და ჩაგონებით. ამ გაუგებრობის ბრალი ედება ჩვენს მწერლობასაც, რომელიც არ ცდილა დალაგებით და გასაგებად აეხსნა ფართო საზოგადოებისათვის, თუ რა მნიშვნელობა აქვს სკოლის ნაციონალიზაციას. იმედია, ახლა მაინც დაუკვირდებიან თავიანთ საქციელს ის მშობლები, რომელთაც განუცხადებიათ სკოლის მთავრობისთვის უარი, რომ მათი შვილები სწავლობდნენ ქართულად და გაასწორებენ ამ შეცდომას დაუყოვნებლივ ახალის ქაღალდის შეტანით და განცხადებით, რომ მათ სურთ მათი შვილები სწავლობდნენ საგნებს უეჭველად ქართულად.

დ. კარიჭაშვილი.

რუსეთის რესპუბლიკა

დეპეშები

რკინის გზის გაფიცვის გამო. კერენსკის მოწოდება

პეტროგრადი. ენკენისთვის 21. რკინის გზებზე გაფიცვის შესახებ მიღებულ ცნობების გამო დრ. მთავრობა აცხადებს, რომ ის მოკლე ხანში ბეჯით ზომებს მიიღებს რკინის გზების მოსამსახურეთა ქონებრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ახალ ჯამაგირებს დააწესებს. მთავრობა აფრთხილებს მუშებს, რომ ის იძულებული იქნება რკინის გზის ტარიფი გაადიდოს, რადგანაც ხაზინას ვერ შეუძლია აიტანოს ხარჯების გადიდება. თავის მხრივ კერენსკი აცხადებს, არავითარ რყევას და ყოყმანს არ დაუშვებ, რადგან რკინის გზის გაფიცვა აურაცხელ უბედურებას დაჰბადებს ჯარისა და მცხოვრებთათვის, ამიტომ იმედი მაქვს, რომ დრ. მთავრობას არ დასჭირდება სასტიკი ზომების მიღება; მოვუწოდებ შესწყვიტონ გაფიცვისათვის ყოველივე სამზადისში, ვინაიდან ვიმედოვნებ, რომ გასაჭირში მყოფ სამშობლოს რკინის გზის მოსამსახურენი არ უღალატებენო.

ბალტიის ფლოტის ცენტრი

პეტროგრადი. ენკენ. 20. მ. ჯ. და გლ. საბჭომ სამხედრო მინისტრს გადასცა ბალტიის ფლოტის ცენტრალი კომიტეტის განცხადება, რომ მას უკან მიაქვს თავისი მოთხოვნილებანი და ამიტომ ითხოვს არ იქნეს დათხოვილი ფლოტის ცენტრი.

წინასწარი პარლამენტი

პეტროგრადი. ენკენ. 20. ესერები წინასწარ პარლამენტის შესახებ იმ აზრის არიან, რომ ის დემოკრატ. თათბირზე მყოფ სხვა და სხვა ჯგუფების წარმომადგენლებისაგან უნდა შესდგეს. მენშევიკებს საჭიროდ მიაჩნიათ წინასწარ პარლამენტის არჩევნებში პროპორციალობის პრინციპით იხელმძღვანელონ.

უმუშევართათვის მზრუნველობა

პეტროგრადი. ენკენ. 20. დაარსდა უმუშევართა განმანაწილებელი კომიტეტი, რომლის მიზანია უმუშევარნი გაანაწილოს იმ ქარხნებში, რომელთა წარმოების გადიდება შეიძლება. პირველ რიგში უმუშევარნი გაიგზავნებიან დონეცის რაიონის მადნეულობის მაღაროებში.

ქალაქთა და ერობათა კავშირი

მოსკოვი. ენკენ. 20. სრულიად რუსეთის ქალაქთა და ერობათა კავშირის საზოგადო დაწესებულებათა შორის 252,000 მოსამსახურიდან მხოლოდ 1400 ყოფილა ჯარში გასაწვევი.

ახალი ფული

პეტროგრადი. ენკენ. 21. რადგანაც სახელმწიფოს ხარჯები დღითი-დღე იზრდება და ფულის დამზადებელი ექსპედიცია ვერ ასწრებს ჩვეულებრივი ქაღალდის ფულის დამზადებას, გაჭირვების აუცილებლად გადასწყვიტა გამოუშვან უფრო სადა და ადვილი გარეგნობის ფული, რომელსაც იგივე ღირსება ექნება, რაც აქამომდე მიღებულ ქაღალდის ფულს.

თურქესტანის ამბები

პეტროგრადი. 21. დრ. მთავრობას ატყობინებენ: ტაშკენტში მოვიდა ყაზახთა ასეული. ადგილობრივ დეპუტ. საბჭომ საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა. ქალაქში განათება არ არის. გამოცხადდა სამხედრო წესები. აიკრძალა კრებები და მიტინგები. სამხ. სასწ. იუნკრებმა დაიპყრეს შტაბის სტამბა და დააყენეს ყარაულები სახელმწიფო ბანკთან, ელექტრ. სადგურზე და ტელეგრაფზე. საბჭოს აღმასრ. კომ. საბჭოს დემაგოგიურ და ანარქიულ ხელმძღვანელობას უწევს. 1 და 2 პოლკი აქტიურად არ გამოსულა. ხალხი კაზაკებს ტაშით და „ვაშა"-თი შეხვდა. თურქსტანის რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირმა გაფიცვა უარჰყო, რადგანაც ამ შემთხვევაში ქალაქს შიმშილი მოელის. დეპ. საბჭო დამსჯელი რაზმის ქალაქიდან გაყვანას მოითხოვს, მაგრამ იმედი არა აქვთ, რომ ამის შემდეგ სიწყნარე ჩამოვარდეს. პოგრომები მოსალოდნელი არ არის. ლევინის საწყობებთან ყარაულები დგანან. 1 და მე-2-ე პოლკებმა ჩამოსულ კაზაკებს ალყა შემოარტყეს და არწმუნებდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ვერა გააწყეს-რა.

პეტროგრადის დემოკრატიული თათბირი

ენკენისთვის 20 სხდომა

სხდომის დაწყება

პეტროგრადი. ენკენისთვის 20. სხდომა დაიწყო 11 საათზე და 15 წ. თავმჯდომარე ავქსენტიევი აცხადებს: პრეზიდიუმმა აასრულა დავალებული მოვალეობა და მის მუშაობის შედეგს წერეთელი მოგახსენებთო.

ირ. წერეთლის სიტყვა

სიტყვა ეძლევა ირ. წერეთელს, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან. ორატორი აცხადებს: ჯგუფთა და ცენტრალ კომიტეტების წარმომადგენლებით შევსებულ პრეზიდიუმმა მიზნად იმ საერთო რამის გამონახვა დაისახა, რაც თათბირის უმრავლესობისათვის მისაღები იქნებოდა. ასეთ საერთო რამედ უპირველეს ყოვლისა იმის მიღება გამოვიდა, რომ მომავალ მთავრობის მოქმედებას საფუძვლად ის პროგრამა უნდა დაედოს, რომელიც გაერთიანებულ დემოკრატიამ მიიღო მოსკოვის თათბირზე მარიამობისთვის 14-ს. მეორე, რაც თითქმის ყველა მოთათბირემ მიიღო,—მთავრობის პასუხისმგებლობა იმ ორგანოს წინაშე, რომელსაც თვით დემოკრატია შექმნის. მთავრობის შედგენის საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა. ის ორგანო, რომლის წინაშეც მთავრობა პასუხისმგებელი იქნება, უნდა შესდგეს იმ წარმომადგენლობითი პროპორციულ პრინციპით, რომლითაც ეს თათბირი მოეწყო; შემდეგში, თუ შესაძლებელი გახდება, რომ მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ ის ცენზიანი ელემენტები, რომლებიც გაერთიანებულ დემოკრატიის პროგრამას მიიღებენ—მაშინ წარმომადგენლობით ორგანოს შემადგენლობაში ხსენებული ელემენტებიც შევლენ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ხსენებულ ორგანოში უმეტესად დემოკრატია მიიღებს მონაწილეობას. წერეთელი ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ თათბირი პრეზიდიუმის წინადადებას მიიღებს და მოსპობს დემოკრატიის შორის განხეთქილების აჩრდილს. შემდეგ [illegible] იძლევა დავალებას [illegible] შორის მოხსენებაში აღნიშნულ ლოზუნგებათა ცხოვრებაში გასატარებლად 5 კაცი აირჩიონ. (მქუხარე ტაში).

თავმჯდომარის წინადადებით კრება ერთხმად სწყვეტს წერეთლის მოხსენებაზე მსჯელობა არ იქონიონ. სიტყვები ეძლევათ მხოლოდ ფრაქციების წარმომადგენლებს კენჭის ყრის შესახებ.

ტროცკის სიტყვა

ბოლშევიკების სახელით ტროცკი აცხადებს, რომ ისინი ხმას მისცემენ მთავრობის პასუხისმგებლობაზე, საგანგებო ორგანოს შედგენაზე, რომელიც მთავრობის კონტროლი იქნება, მხოლოდ წინააღმდეგნი არიან თათბირიდან ორგანოს შედგენაზე. მთელს რეზოლუციაზე ბოლშევიკები თავს შეიკავებენ და წინააღუდგებიან იმ შემთხვევაში, თუ საკონტროლო ორგანოში ცენზიანი ელემენტები შევლენ.

სოციალისტ-რევოლუციონერთა სახელით გოცი აცხადებს, რომ ფრაქციამ ერთხმად დაადგინა, რეზოლუციის მხარის დაჭერა.

მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერთა სახელით კარელინი აცხადებს: ცენზიან ელემენტების მონაწილეობას ეწინააღმდეგება, მთელ რეზოლუციას კი მხარს უჭერს.

შეერთებულ სოციალ-დემოკრატების მენშევიკების სახელით **ხინჩუკი** მხარს უჭერს (გაუგებარია).

აბრამოვიჩი მენშევიკ ინტერნაციონალისტების სახელით მხარს უჭერს რეზოლუციას.

ზნამენსკი მშრომელთა სახელით და კუჩკინი მთელ ფრონტის ჯგუფის სახელით მხარს უჭერენ რეზოლუციას.

ჩაიკოვსკი, კოოპერატიულ ჯგუფის სახელით აღნიშნავს დასმულ საკითხების გაურკვევლობას და მოითხოვს კენჭის ყრის გადადებას ნახევარი საათით მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში თავს შეიკავებს.

თავმჯდომარე ავქსენტიევი აცხადებს, რომ საჭიროა რეზოლუციის მომხრე ხმების მაქსიმუმი და წინადადებას იძლევა სხდომის ღამის 12 საათამდის შეწყვეტაზე.

ირ. წერეთლის რეზოლუცია.

„ძლიერ სარევოლუციო მთავრობის შესაქმნელად მარიამობისთვის პროგრამა უნდა განხორციელდეს—ესაა საყოველთაო ზავისაკენ მიმართული ცხოველი საგარეო პოლიტიკა და დამფუძნებელ კრების მოწვევამდე მთავრობა პასუხისმგებელი იყოს წარმომადგენლობითი დაწესებულებათა წინაშე. ამ საფუძვლებზე მთავრობის შესაქმნელად ყრილობამ უნდა გამოჰყოს მუდმივი ორგანო. თუ მთავრობა კოალიციური იქნება, მაშინ ამ ორგანოში ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც შევლენ, მაგრამ დემოკრატიული ელემენტები უნდა სჭარბობდნენ. ყრილობა პრეზიდიუმს ავალებს წარმოადგინოს ხვალ ყრილობის წევრებისგან შედგარ დაწესებულების არჩევნების პროექტი და დაასახელოს 5 კაცი მთავრობის შესადგენად".

ამ რეზოლუციას მუხლობრივ უყარეს კენჭი და ყველა მუხლები მიიღეს.

ვიდრე მთლიან რეზოლუციას უყრიან კენჭს [illegible]. ლუნაჩარსკი და კამენევი პროტესტს აცხადებენ რეზოლუციაში მათგან დაუკითხავად შეტანილ ცვლილებათა გამო. აბრამოვიჩი, დანი და წერეთელი უარჰყოფენ ამას. ყველა ამ განცხადებებს თან სდევს ინციდენტი და მღელვარება დარბაზის ხან ერთსა და ხან მეორე მხრიდან. ლუნაჩარსკი აცხადებს, ბოლშევიკები რეზოლუციას ხმას არ დაუჭერთო.

პრეზიდიუმის სახელით წერეთელი აცხადებს, რადგანაც საჭიროა რეზოლუცია ერთსულოვნად იქნეს მიღებული, სიტყვები: „მთავრობის დახმარება"-ს მაგივრად, რომლებიც ბოლშევიკებს არ მოსწონთ, შეტანილი იქნება სიტყვები „მთავრობის შექმნაო". დღეის შემდეგაო, დასძენს წერეთელი, ბოლშევიკებს ნოტარიუსისა და 2 გადამწერის თანდასწრებით უნდა ველაპარაკოთ ხოლმეო". ბოლშევიკებმა ხმაურობა და ყვირილი დაიწყეს. ნოგინის პირით ბოლშევიკები იმუქრებიან, რომ დარბაზს მიატოვებენ, თუ წერეთელი უკან არ წაიღებს თავის სიტყვებს. მღელვარება და ხმაურობა გრძელდება. ბოლშევიკები ყვირიან: „მოსაფიქრებლად 5 წუთი გვაძლიეთო". ბოლშევიკების ერთი ნაწილი დარბაზის დატოვებას აპირებს. 10 წუთით კრება შესწყდა.

კრების გახსნისას თავმჯდ. ავქსენ-

ტიევი ამბობს, საჭიროა ინციდენტს ბოლო მოეღოთ. მან წესიერებისკენ არ მოუწოდა წერეთელს და პრეზიდიუმის დადგენილებით სიტყვა მისცა ჩერნოვს, რომელიც სასტიკ ბრალსა სდებს ბოლშევიკებს, რომ მათ ეჭვი შეიტანეს წერეთლის პოლიტიკურ სისპეტაკეში და მას პოლიტიკურ მოსაზრებით რევოლუციის გადაკეთებას სწამებენ. ჩერნოვი ამბობს, ასეთი გამოსვლა ამ კრების წევრისათვის შეუფერებლად სთვლის. (მქუხარე ტაში). ბოლოს ჩერნოვი კრებას დაწვრილებით მოუყვა პრეზიდიუმის მიერ რეზოლუციის მიღების ამბავს და წერეთლის სიმართლე ცხადჰყო.

თავმჯდომარემ რამდენიმე ამავე ხასიათის განცხადება მიიღო, კრებას სთხოვს, ინციდენტი გათავებულად ჩასთვალონ.

შემდეგ წერეთელმა განაცხადა, რომ მისი სიტყვები ნოტარიუსისა და გადამწერთა შესახებ მხოლოდ იმ ბოლშევიკებს შეეხებოდა, ვისაც ეჭვი შეჰქონდათ მის პოლიტიკურ სისპეტაკეში (ტაშის ცემა და ხანგრძლივი ოვაციები).

აქსენტიევი, როგორც თავმჯდომარე აცხადებს: ინციდენტმა პოლიტიკური ხასიათი დაჰკარგა და პირად უთანხმოების ხასიათი მიიღო, ამიტომ ისინი, ვისაც ინციდენტი შეეხებათ საქმეს სხვაგან გადასწყვეტენო. იმისდა მიუხედავად, რომ ბოლშევიკებმა დიდი ყურ-ზაური ასტეხეს, კრება რეზოლუციის კენჭის ყრას შეუდგა.

მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერთა წარმომადგენელი ცეკოვი აცხადებს, რომ ჯგუფი რეზოლუციის წინააღმდეგ მისცემს ხმას. კენჭის ყრა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ისმოდა „მოიწვიეთ ყველა ბოლშევიკებიო“, წესიერად მიმდინარეობდა. თავმჯდომარე აღნიშნავს, არავინ არ უდგება ბოლშევიკების დაბრუნებას წინაო.

ხუთ საათზე კენჭის ყრა გათავდა. **რეზოლუციის მომხრე 829,—მოწინააღმდეგე 106, თავს იკავებს 69.**

აქსენტიევის განცხადება

სხდომა იწყება 6 საათზე და 50 წუთზე. თავმჯდომარე აქსენტიევი აცხადებს რომ მორიგ საკითხებად წამოყენებულია დემოკრატიულ საბჭოს შედგენა, რომელიც ამ თათბირიდან უნდა გამოეყოს. ამასთანავე პრეზიდიუმის საგანგებო კომისიის მუშაობის შედეგთა მოხსენება იქნება წაკითხულიო.

ვოიტინსკის სიტყვა

სიტყვა ეძლევა ჯარის კაცთა დეპუტატების ცენტრალ კომიტეტის წევრს ვოიტინსკის. ვოიტინსკი აცხადებს: კომისიამ, საერთო დებულების სახით, დაამტკიცა, რომ დემოკრატიული საბჭო უნდა წარმოადგენდეს ყველა თათბირში მონაწილეთა სულიერ მდგომარეობის, ლტოლვილების და ინტერესების შემცირებულ ასლს. საბჭოს შედგენა განზრახული იყო ორ საშუალებით: პირველი—თათბირი დაიყოს პარტიულ ჯგუფებზე და ფრაქციებზე და საბჭოს წარმომადგენლები თავ-თავიანთ რაოდენობის მიხედვით აირჩიონ. მეორე—საბჭოში ყველა ჯგუფმა თავ-თავიანთი წარმომადგენლები პარტიულ შეხედულების მიხედვით წარმოადგინოს თათბირში მონაწილე ზოგიერთმა ჯგუფმა თავიანთი უპარტიობა განაცხადა და, ამის გამო პარტიული წარმომადგენლობა უვარგისი იქნება. კომისია ჯგუფთა წარმომადგენლობაზე შეჩერდა. ამასთანავე, ვისაც სურს ჰქონდეს პარტიულ არჩევნების უფლება შეინარჩუნოს, უფლება აქვს არჩევნები პარტიულ პლატფორმაზე მოახდინოს. მომავალ საბჭოს ნაკაზი კომისიამ არ შეიმუშავა და წინადადებას ძლევს თათბირს თავისი უფლებები საბჭოს გადასცეს. ნაკაზს შეიმუშავებენ შემდეგში იმ ძალთა დარილ მიზნების მიხედვით, რომელთაც დემოკრატიის წინ დაუსახავთ წამოყენებული. დასასრულ ვოიტინსკი აცხადებს საბჭოს არჩევნების წესს და მის წევრთა რაოდენობას.

დემოკრატიული საბჭო

1) სრულიად რუსეთის დემოკრატიული საბჭო ეს ის დაწესებულებაა, რომელსაც თათბირის ყველა უფლება გადაეცემა.

2) საბჭო თავის მოქმედების ნაკაზს თვითვე შეიმუშავებს.

3) საბჭო აირჩევა თათბირის შემადგენლობიდან თათბირზე მოწვეულ ყველა ჯგუფთა პროპორციულ წარმომადგენლობითი პრინციპის მიხედვით. 4) თვითეული ჯგუფი საბჭოში თავის წარმომადგენლებს ჰგზავნის. თვითეულ ჯგუფის წარმომადგენელთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს თათბირის მოწვევის დროს მის მიერ წარდგენილ მანდატების 15 პროცენტს.

5) შეიძლება ჯგუფებიდან პარტიულ ფრაქციების გამოყოფა. თვითეულ ფრაქციას იმდენ მანდატების მოხმარების უფლება ექნება, რამდენი წევრიც ფრაქციაში შედის და თათბირს ესწრება.

6) თვითეულ ორგანიზაციას უფლება აქვს საბჭოში თავისი გამოგზავნილი წარმომადგენელი შეცვალოს. საბჭოდან გაწვეულის მანდატი ძალას ჰკარგავს მის ადგილზე მეორის დანიშვნის დროს.

საბჭოს შემადგენლობა: ქალაქებიდან 45 წარმომადგენელი, ერობათაგან 45 მათ შორის 5 კაცი საგუბერნიო კომიტეტებიდან, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოდან 38, გლეხთა დეპუტატების საბჭოდან 38, კოოპერატივებიდან 24, მათ შორის 5 მუშათა კოოპერაციიდან და 15-იც საზოგადოდან. პროფესიულ კავშირებიდან 21, სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთაგან 5, რკინის გზებიდან 5, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთაგან 22, მომქმედ ლაშქრიდან 25, მათ შორის ერთი დაშავებულთაგან, ფლოტის წარმომადგენელი 2. ყაზახთაგან 6, მათ შორის 3 ყაზახთა ჯარის საბჭოდან და 3-იც ფრონტის ყაზახთაგან. ეროვნულ ორგანიზაციებისათვის 25 ადგილი, რომელიც ეროვნებათა შეთანხმებით უნდა დაიყოს, საადგილ-მამულო კომიტეტებიდან 7, ეკონომიურ ორგანიზაციებიდან 3, გლეხთა კავშირიდან 2, მასწავლებელთა კავშირიდან 2, საექიმო კავშირიდან 1, ქალთა ორგანიზაციებიდან 1. დანარჩენ ორგანიზაციებიდან 10 სულ 308. დასასრულს ვოიტინსკი აღნიშნავს რომ საბჭოს შემადგენლობას საფუძვლად უძევს 3 პრინციპი, რომელიც შემდეგ სიტყვებში გამოიხატება: ამ საბჭოს პროპორციული წარმომადგენლობა და მის ნაყოფიერი მუშაობა. დემოკრატიულ საბჭოში არ უნდა შედიოდეს 300—400 კაცზე მეტი. არჩეულ 308 კაცს დაემატება ცენზიან ელემენტების წარმომადგენლები, რომ საბჭო სრულიად რუსეთის წინასწარ პარლამენტად გადაიქცეს. სხდომა 11 საათამდე სწყდება.

ეროვნული საკითხი

ფინლიანდია და რუსეთი

ახალმა სეიმმა ფინლიანდია რესპუბლიკად გამოაცხადა

ჰელსინგფორსი. ენკენისთვის 21. მართველობის ახალ ფორმის პროექტების შემუშავების გამო გაზეთი „გააკსანა“ სწერს: „ახალმა სეიმმა, გამოაცხადა რა თავისი თავი ეროვნულ დამფუძნებელ კრებად, ფინლიანდია რესპუბლიკად აღიარა. საკანონმდებლო ფუნქციებს შეასრულებს სეიმი. მთავარი ადმინისტრაციული მთავრობა პრეზიდენტის ხელში იქნება. პრეზიდენტს აირჩევენ პირდაპირის ხმით, 5 წლის ვადით. პრეზიდენტი განაგებს საგარეო წარმომადგენლობას, ადგენს ახალ სამინისტროებს, ამტკიცებს სეიმის მიერ მიღებულ კანონებს; მას აქვს უფლება შეწყნარებისა და უმაღლეს პირთა თანამდებობაზე დანიშვნისა. მინისტრები პასუხს აგებენ სეიმის წინაშე. არსდება უმაღლესი სასამართლო, რომლის უფლების ქვეშ იმყოფება დანარჩენი დაბალი სასამართლო ინსტანციები. რუსეთის და ფინლიანდიის დამოკიდებულება შეთანხმებით გადასწყდება. შეთანხმება ორის ქვეყნის პალატათა საქმეა. თუ შეთანხმება არ მოხდა, ორივენი ცალცალკე თავთავიანთთვის შემუშავებულ მართველობის ფორმით იცხოვრებენ, ან და საკითხი გადასაწყვეტად სამშვიდობო კონფერენციას გადაეცემა. გამოაცხადებს რა დამოუკიდებლობას, სხვა და სხვა სახელმწიფოებს ამას წარმომადგენლებით აცნობებს, და სამშვიდობო კონფერენციაზე გასაგზავნად წარმომადგენლებს აირჩევს. ომის შემდეგ რუსეთი ფინლიანდიიდან ჯარს გაიყვანს და ფინლიანდიის ციხეებს ფინლიანდიას დაუბრუნებს.

ომი და ზავი

დეპეშები

აღმოსავლეთის ფრონტი.

რუსეთის ბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. ენკენ. 22. ოფიციალი. **ჩრდილოეთის, დასავლეთის და სამხრეთ დასავლეთის ფრონტები.** სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

რუმინეთის ფრონტი. სუგედინის მიმართ. მილეშეშც-ინტენზე გაღმის მიდამოებში, რადაუცის სამხრეთით ენკენისთვის 21 19-ს და 30 წ. მტერმა მეიდრო წყებებით შემოგვიტია, მაგრამ ზარბაზნების სროლით შევაჩერეთ. ბუზეუს მიმართულებით 6 საათზე მაქსიმენის მიდამოებში და მდ. ბუზეუს შესართავთან, ტბების შუა ჩვენს პოზიციებს სროლა აუტეხა. ნახევარი საათის სროლის შემდეგ მტრის ქვეითა ჯარმა პოზიციები წაგვართვა. 7 საათზე მდგომარეობა კონტრ-იერიშით აღვადგინეთ.

კავკასიის ფრონტი. დიზა-აშადის (უკანასკნელი სოფ. მოსულის ჩრდილოეთით 75 ვერსის მანძილზე) მიმართულებით ორომარის სამხრეთ დასავლეთით 25 ვერსის მანძილზე მდებარე სოფ. პერეველი ავიღეთ.

მფრინავთა მოქმედება. ენკენ. 20. დაბლა დაშვების დროს ჩვენი 1 მფრინავი ჩამოვარდა და დაიმტვრა. ენკენ. 21-ს სმორგონთან 4—6 სათ. ჩვენმა მფრინავებმა მტრის ჯარის ფარგლებში ყუმბარები ჩამოყარეს.

საფრანგეთის ბანაკის ცნობა.

პარიზი. ენკენ. 19. ბელგეთში მდ. ენის ბრძოლის პირზე ძლიერი საარტილერიო სროლაა. დღეს დილით, ძლიერი საარტილერიო სამზადისის შემდეგ, გერმანელებმა იერიში მიიტანეს მასის მარჯვენა მხარეზე, „344“-ის სიმაღლესა და სამონიეს შუა. ჩვენმა ძლიერმა ცეცხლმა მტრის საიერიშო რაზმთა წყება ჩვენს ასპარეზს არ მიაახლოვა. „344“ სიმაღლის ჩრდილოეთით გერმანელებმა შესძლეს ერთი ადგილის დაჭერა, მაგრამ იქიდანაც მალე გავდევნეთ.

დასავლეთის ფრონტი.

ინგლისის ბანაკის ცნობა.

ლონდონი. ენკენ. 19. გარდა საარტილერიო სროლისა, მთელს ფრონტზე ღირსშესანიშნავი არა მომხდარა-რა.

ლონდონი. ენკენ. 20. იპრის სექტორში გერმანელებმა ზარბაზნების სროლა გააძლიერეს.

სამირბაროს ცნობით ენკენისთვის 18 ღამეს ინგლისელთა ჰიდროპლანები მეორედ თავს დაესხნენ ზებრიუგეს და შლიუზებს დაუშინეს, დღისით კი ყუმბარები ჩამოყარეს სენ-დენის ანგარსა და ჰეროდრომში. გერმანელთა 2 მფრინავი ვაიძულეთ დაბლა დაშვებულიყო. ჩვენები უვნებლად დაბრუნდნენ.

იტალიის ბანაკის ცნობა.

რომი. ენკენ. 20. სენ-გაბრიელის დასავ. კალთებზე გერმანელების იერიში მოვიგერიეთ და საკმაოდ დავაზარალეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 1 ოფიცერი და 79 ჯარისკაცი. ვაინოცას ზეგანზე ჩვენი მოდარაჯენი მარჯვედ მოქმედობდნენ. ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ტყვე და 3 ტყვიისმფრქვეველი. ენკენ. 19-ს იტალიელი მფრინავები ქ. პოლუს მარჯვედ თავს დაესხნენ 2-ჯერ და მოწინააღმდეგეს 2 მფრინავი დაღუპეს.

ოსმალეთის პასუხი პაპის ნოტაზე

ჰელსინგფორსი. ენკენ. 19. ოსმალეთის მთავრობა პაპის საზავო ნოტაზე გაცემულ პასუხში აცხადებს, რომ ოსმალეთმა ომი დაიწყო თავის არსებობისა და საზღვრების დასაცავად და თანახმაა ძალის მაგივრად უფლების მეუფება დამყარდეს და საყოველთაოდ შეიზღუდოს შეიარაღება.

ქრონიკა

თბილისი

◆ **ქართული წარმოდგენა.** ხვალ, ორშაბათს, 25 სექტემბერს, ქართულ კლუბში, ქართული დასი გამართავს მეორე წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ნ. შიუკაშვილის ცნობილი პიესა „სიმახინჯე“ და ვასო აბაშიძის მონაწილეობით „რაც არ მერგება—არ შემერგება“. წარმოდგენაში მონაწილეობენ საუკეთესო ძალები. წარმოდგენა ყველასათვის ხელმისაწვდომია. პირველ წარმოდგენას „გადაჭრილ მუხას“ ხალხი აუარებელი დაესწრო და ნასიამოვნები დარჩა. ბევრი უბილეთობის გამო გულდაწყვეტილი დაბრუნდა.

◆ **სრულიად საქართველოს კათოლიკოსთან** სადარბაზოდ იყვნენ და მიულოცეს: კავკასიის მხედართ-მთავარი ღენ. პრჟევალსკი, ჯარების კვარტირმეისტერი ღენ. კლემენტოვსკი, ღენ. ვას. გაბაშვილი, ბერძენთა არქიმანდრიტი პატრიკი, მათხოვრისა და მღვიმის დედათა მონასტრების წარმომადგენელნი და სხ. მის უწმიდესობას კათოლიკოსს მრავალი მისალოცი დეპეშები მოუვიდა. სხვათა შორის დეპეშა მოუვიდა კამენეც-პოდოლსკის ეპისკოპოზის დიმიტრისაგან, რომელიც აგრეთვე თანხმობას აცხადებს იკისროს ურბნისის (ქართლის) ეპარქიის ეპისკოპოსობა.

◆ **დამფუძნებელ კრებისთვის** საარჩევნო სიები უკვე დამზადებულია თბილისში და დროზე დაიბეჭდება. სიებს შევსება ესაჭიროება, რადგან სიების შედგენის დაწყების შემდეგ ბევრი დაბრუნდა თბილისში და აგრეთვე ბევრნი სრული წლოვანნი გახდნენ, რომელნიც სიებში უნდა შეიტანონ. ვინაც მოისურვებს, რომ უფლება არ დაეკარგოს და სიაში ჩარიცხონ, ქალაქის გამგეობას უნდა წარუდგინონ საჭირო საბუთები.

◆ **საქონლის გატანის აკრძალვა.** სასტიკად აღკრძალულია სპარსეთში საქონლის წაღება, მაგალითად, თამბაქოსა, ასანთისა და სხ. ვისაც შესაფერისი მოწმობა არ ექნება, საქონელს წაართმევენ და მუქთად დაურიგებენ ჯარებს.

◆ **ქალაქის სასურსათო გამგეობის** თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ი. სტაროსელსკი. გამგეობის წევრებად—ალშვანგი, ვეიხი და დიკმანი.

◆ **კრიზისის მოახლოვება.** თბილისში მხოლოდ 2—3 დღის სამყოფი ფქვილი ყოფილა. ამ ხნის განმავლობაში თუ ფქვილი არსაიდან მოვიდა, ქალაქი დაიმშევა. საინტენდანტოდანაც არ შეიძლება ფქვილის გამოტანა, რადგან იმასაც თითონ არ ჰქონია. ამავე დროს განჯაში 6 თვის სამყოფი სურსათი ჰქონია ქალაქს და გირვანქა პური იქ ჯერ ისევ 12 კაპ.

◆ **„დაშნაკციუტუნის“ განცხადება.** სომეხთა ეროვნულ პარტიის „დაშნაკცუტუნ“-ის აღმასრულებელი ბიურომ განაცხადა, რომ ის დამფუძნებელ კრებამდის არ მოითხოვს რუსეთში ფედერატიულ რესპუბლიკის დამყარებას.

◆ **ფეხსაცმელების შეძენის წესი.** ენკენისთვის 25 შეიძლება ფეხსაცმელების და ტყავეულობის ყიდვა მაღაზიებში, აგრეთვე შეკვეთილი ფეხსაცმელების გამოყიდვა სახელოსნოებიდან საგანგებო ბარათებით, რომლების მიღება მსურველთ შეუძლიათ ქალაქის სასურსათო კომიტეტში. თუ აღნიშნულ დღისათვის ბარათებით დამზადება არ მოესწრო, იმ შემთხვევაში აღნიშნული საქონლის შესაძენად მოწმობას გასცემს უკიდურეს საჭიროების დროს საგუბერნიო სასურსათო გამგეობა, მაგრამ მთხოვნელმა უთუოდ უნდა წარადგინოს შაქრის ბარათი, როგორც მოწმობის, აგრეთვე ბარათის მისაღებად. ჩუსტების ყიდვა შეიძლება უმოწმობოდ და უბარათოდ. სახელოსნოებიდან შეკვეთილ ფეხსაცმელების მიღების დროს უნდა წარდგენილ იქმნას ბარათი, ანუ მოწმობა, რომლებიც სახელოსნოებმა უნდა გაუგზავნონ საქალაქო სასურსათო კომიტეტში. არავითარ ფეხსაცმელზე და არც ტყავეულობაზე ნიხრი არ არის დაწესებული.

რკინის გზების გაფიცვის მოლოდინში

პირდაპირი მავთულით თბილისში ცნობები მოვიდა დონის როსტოვიდან: კავკასიის რკინის გზების როსტოვის მთავარსახელოსნოების მუშათა კრებამ, გარდა რამდენიმე ათეული კაცისა, ერთხმად გაფიცვის წინადადების დადგენილება გამოიტანა. სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის ტოტის მუშებმა განაცხადეს, რომ ეკონომიური გაჭირვება გვაიძულებს საერთო გაფიცვას მხარი დაუჭიროთო. სხვა და სხვა ქალაქების სარევოლუციო ორგანიზაციები და აგრეთვე დროებითი მთავრობა ურჩევენ გზების მუშა-მოსამსახურეთ ხელი აიღონ გაფიცვის შესახებ გადაწყვეტილებაზე და თავიანთი მოუფიქრებელი საქციელით არ დაღუპონ რუსეთი. სხვათა შორის კისლოვოდსკის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს დაუდგენია, თუ რკინის გზის მოსამსახურენი არ დაიშლიან და გაიფიცებიან, მათ აუცილებლად სხვები ჩავაყენოთო.

საადგილმამულო კომიტეტები

მიმდინარე წლის მარიამობისთვის დასაწყისში დაარსებულ თბილისის საგუბერნ. საადგ.-მამულო კომიტეტსა და თბ. საგუბ. საადგ.-მამ. გამგეობის გარდა, ამიერ კავკ. საგან. კომიტეტის ივნისის 21 დადგენილების თანახმად წელს დაარსდება სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტები და გამგეობანი ახალქალაქში, ახალციხეში, თიანეთში, თელავში, სიღნაღში და აგრეთვე სარაიონო საადგ.-მამ. კომიტეტები: ახალქალაქის მაზრაში—ბარალეთისა, ახალციხის მაზრაში—აწყურისა, კოპლიანისა და ურაველში. თბილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოლქშიაც იქნება დაარსებული მსგავსი დაწესებულებანი.

საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტის განკარგულებაში იქნება: 1) გუბერნიაში არსებულ სახელმწ. მამულების თვალყურის დევნება; 2) ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და სათანადოთ გამოყენების თვალყურის დევნება, (მადნეულობა, ტყე, მეთევზეობა და სხვა); 3) ძირითად საადგილ-მამულო რეფორმის მასალების შეკრება მიწადმფლობელობისა, ხასიათისა და დამოკიდებულების შესახებ; მასალები შეთანხმებული იქნება მთავარ და საოლქო საადგ.-მამულო კომიტეტების პროგრამასთან. 4) კომიტეტი შეიძლება მთავრობის კანონდებულებათა და დადგენილებათა ფარგლებში შეადგინოს სავალდებულო დადგენილებანი, მიწის იჯარის, სამეურნეო საწარმოებზე დაქირავებისა, გუბერნიაში სასოფლო-სამეურნეო და საადგილმამულო დამოკიდებულებათა საკითხების შესახებ, ხოლო ეს დადგენილებანი საოლქო საადგ.-მამულო კომიტეტს უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად; 5) საჭიროებისადამიხედვით უთანხმოებისა და გაუგებრობის გასარჩევად საგუბერნიო შემარიგებელ კამერების მოწყობა და სამაზრო კომიტეტების მოქმედებაში მთლიანობისა და მიზანშეწონილების შეტანა; 6) სამაზრო კომიტეტების მოქმედების თვალყურის დევნება.

სამაზრო კომიტეტის განკარგულებაში შედის იგივე, რაც საგუბ. კომიტეტების სამოქმედო პროგრამის მე-2, მე-3 და მე-5 მუხლებშია მოხსენებული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სამაზრო კომიტეტების მოქმედება მაზრის ფარგლებით განისაზღვრება. ამას გარდა, სამაზრო კომიტეტებმა უნდა შეასრულონ საოლქო და საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტების დავალებანი.

სარაიონო კომიტეტებს ევალებათ: 1) საოლქო საადგილ-მამულო კომიტეტის ინსტრუქციების თანახმად ძირითად საადგილ-მამულო რეფორმებისათვის საჭირო მასალების შეკრება; 2) საოლქო და საგუბერნიო კომიტეტთა დავალებათა შესრულება მაზრაში; 3) სარაიონო შემარიგებელ კამერების მოწყობა.

ქალაქის წარმომადგენელთა ურილობა

ენკენისთვის 21 სხდომა

ფინანსიური მდგომარეობა

ბ-ნი სმირნოვი დიდ მოხსენებას კითხულობს ქალაქთა ფინანსიურ მდგომარეობაზე, ორატორი კრებას მიუთითებს, თუ როგორ ზღუდავდა ძველი მთავრობა ქალაქთა ფინანსიურ უფლებებს, რაც სოციალ პირობების გამწვავებას იწვევდა. დღეს კი მდგომარეობა ძირიანად უნდა შეიცვალოს. ქალაქმა ისე უნდა მოაწყოს საქმე, რომ მცხოვრებთაგან აღებული თანხა გადასახადის სახით ისევ მცხოვრებთა კეთილდღეობას ჰხმარდებოდეს.

მოხსენებლის აზრით ქალაქის საბიუჯეტო თანხა სამ წყაროდან უნდა ივსებოდეს:—შემოსავლებისგან, გადასახადებისგან, და ქალაქის საკუთარ ქონების ექსპლოატაციისგან. როდესაც ამა თუ იმ ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა ირყევა და ნელ-ნელ ეცემა, მაშინ კოტრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სესხის აღება. მომხსენებლის აზრით ქალაქებისთვის ხელსაყრელ სესხად ყოველივე დიდ ვადიანი სესხი უნდა ჩაითვალოს, ან და ქალაქმა უნდა შეიმუშაოს ისეთი ფორმა, როდესაც ქალაქი სესხს პირდაპირ მცხოვრებლებიდან იღებს. ამ შემთხვევაში ქალაქი ბანკების აპეკიდან განთავისუფლებული იქნება.

რეფერატი ყურადღებით იქმნა მოსმენილი, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ რეფერატს სულ 8 თუ 9 კაცი დაესწრო, რის გამოც რეფერატის კითხვას მეტის-მეტი მკრთალი ხასიათი მიეცა.

22 ენკენისთვის სხდომა.

სკოლის საკითხი

ბ-ნი აშკოვი კითხულობს მოხსენებას სკოლის შესახებ. რეფერანტი ჯერ ძველი სკოლის დახასიათებას შეუდგა, შემდეგ ახალ სკოლაზე გადავიდა და აღიარა, რომ მომავალში მთელი სკოლები ქალაქის გამგეობის ხელში უნდა გადავიდესო. ყოველივე ღონე უნდა იქმნეს მიღებული, რომ ახლო მომავალში სწავლა უფასო, საყოველთაო და სავალდებულო იყოს. თუ კი პირველ ხანებში თანხა არ იქნება უფასო სწავლის შემოსაღებად, მაშინ მიღებულ უნდა იქნას ზომები, რომ პირველი ოთხი კლასი მაინც უფასო იყოს. რაც შეეხება საშუალო სასწავლებლებს მეორე ოთხ კლასს და უმაღლესს სკოლას, აქ მიღებული იქმნეს ზომები, რომ ღარიბებს საშუალება მიეცეს სწავლისა. ამიტომ ორატორი ერთად ერთ საშუალებად სთვლის სტიპენდიების დაარსებას. ასეთი სტიპენდიის სისტემა ძლიერ გავრცელებულია გერმანეთში, შვეიცარიაში, ინგლისში და შედეგიც ძლიერ კარგი მოაქვს. იგი დიდს ყურადღებას აქცევს აგრეთვე სასწავლებლების გარეშე სწავლას და მოითხოვს მის მკვიდრად დაყენებას. სწავლის საგანში უნდა შედიოდეს მოქალაქეობრივი თვითშეგნების განვითარება და სიყვარული კულტურისადმი და ცივილიზაციისადმი. ეჭვი არ არის, რომ ამ საქმეს მარტო ქალაქის თვითმართველობა ვერ გაუძლებს, ამიტომ ქალაქმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ ამ საქმეში მონაწილეობა მიიღებინოს პროფესიულ კავშირებს და კოოპერატივებს. მომხსენებლის აზრით აგრეთვე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს „საბავშვო ბაღების“ გახსნას, რომელნიც ამავე დროს ერთნაირი თავშესაფარი იქნება ქუჩის, უპატრონო და ობოლ ბავშვთათვისაო. რადგანაც ამისთვის აუარებელი თანხაა საჭირო, სახელმწიფომ უნდა გაუწიოს დახმარება ქალაქთა თვითმართველობათაო.

მოხსენების შემდეგ გაიმართა მცირე კამათი: ბ-ნმა ცერცვაძემ რეფერატში სკოლის გარეგნული სახე დაინახა, ამიტომ მოითხოვა, რომ საჭიროა თვით სკოლის შინაგანი გარდაქმნაო. სხვები კი მოითხოვდნენ, რომ სკოლას პროფესიულ სასწავლებლის ხასიათი მისცემოდა. მოჰყავდათ მაგალითები, რომ გერმანეთში მეეზოვეთა სკოლაც კი არსებობსო.

კრებამ ყველა მოსაზრებანი მოისმინა და ბ-ნ მომხსენებლის რეფერატის მუხლები ზოგიერთი ცვლილებით დაამტკიცა.

პროტესტი რკინის გზათა გაფიცვის წინააღმდეგ

ბ-ნი გეპშტეინი კრებას აუწყებს, რომ რუსეთის რკინის გზათა ცენტრალმა კომიტეტმა 23 ენკენისთვის საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა. ვიცით რა, რომ გაფიცვა სასიკვდილო ლახვარი იქნება რევოლუციისათვის, ამიტომ ბ-ნი გეპშტეინი მოითხოვს საპროტესტო დეპეშის გაგზავნას რკინის გზათა ცენტრალ კომიტეტისათვის. კრებამ აირჩია სარედაქციო კომისია, და სასწრაფოდ იქმნა შედგენილი დეპეშის ტექსტი. ტექსტის განხილვის შემდეგ ყველა კმაყოფილი დარჩა, გარდა ათაბეკოვისა, რომელიც ამართლებდა რკინის გზათა მოსამსახურეთა საქციელს.

მ. ხაიჩხელი.

სკოლის ნაციონალიზაციის წესი

I. საზოგადო წესები

1. სამთავრო ეროვნულ სკოლებში სწავლა ლიტერატურულ დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს; მცხოვრებლები თვით გამოარკვევენ სწავლის ენას იმ შემთხვევაში, თუ ყველა კმაყოფილი არ იქნება ერთ-ერთ ენაზე სწავლებისა.

2. ბავშვების და მოწაფეების ეროვნულ განყოფილებებში გამწესება და გადაჯგუფება მშობელთა თანხმობით უნდა ხდებოდეს.

3. ეროვნულ კლასებში და განყოფილებებში ყველა საგნების სწავლა ეროვნულ სამოსწავლო პროგრამების მიხედვით უნდა სწარმოებდეს. ამ პროგრამებს იმუშავებს და ამტკიცებს ეროვნულ სკოლათა ცენტრალი კომიტეტი.

4. იმ კლასებში, რომლებშიც ნაციონალიზაცია არ შედის—ეროვნულ საგნების სწავლა უნდა გაძლიერდეს. ამა თუ იმ ეროვნებათა მოწაფეებისათვის თავთავიანთ ეროვნულ საგნების სწავლა სავალდებულოა. სარწმუნოების სწავლა დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს.

5. ეროვნულ საგნებად უნდა ჩაითვალოს: დედა-ენა, ეროვნული ლიტერატურა და მისი ისტორია, ერის ისტორია და გეოგრაფია.

6. სამოსწავლო დაწესებულებათა ეროვნულ განყოფილების მასწავლებელთა კოლეგია სამოსწავლო საკითხების გადაწყვეტაში თავისუფალია.

7. ეროვნულ საგნების და სარწმუნოების მასწავლებლები უფლებებით სხვა საგნების შტატის მასწავლებლებს უთანასწორდებიან. ეროვნულ საგნების მასწავლებელთაც ნამსახური დრო პენსიის და ხუთი წლის შემდეგ ჯამაგირის მოსამატებლად—ეთვლებათ.

8. როგორც შერეულ, ისე ეროვნულ სასწავლებლებში მასწავლებლებად და ადმინისტრატიულ პერსონა-

ლის პირებად ყოფნა ყველა ეროვნებათა პირებს შეუძლიათ.

9. ახალ სკოლების გახსნის დროს ცალკე ეროვნება მცხოვრებლების რაოდენობის და სკოლების რიცხვის პროპორციულ შეფარდების პრინციპით უნდა იხელმძღვანელონ.

II. პირველ დაწყებით დაბალ სასწავლებლების ნაციონალიზაცია.

10. პირველ დაწყებით ერთკლასიან სასწავლებლების ყველა განყოფილებაში და ორკლასიანს პირველ კლასის განყოფილებებში სწავლა სამოსწავლო წლის დაწყებიდანვე დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს.

11. ერთგვარ მცხოვრებთა ადგილებში, თუ ადგილობრივი ორგანიზაციები საჭიროდ სცნობენ, რომ სწავლა ორკლასიან პირველ დაწყებით სასწავლებლის მეორე კლასშიც დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს—ამის განხორციელება საოლქო კომისარიატის დამტკიცებით უნდა მოხდეს.

12. შერეულ მცხოვრებთა ადგილებში ეროვნულ უმცირესობის მოსწავლეთათვის ახალი პირველ დაწყებითი სკოლები უნდა გაიხსნას, ან და არსებულ სასწავლებლებში მათთვის პარალელური განყოფილებები უნდა დაარსდეს, მხოლოდ ამისათვის საჭიროა, რომ ერთკლასიან სასწავლებლისთვის 20 მოწაფემ, ორკლასიანისთვის—30 და განყოფილებისათვის 7 მოწაფემ მაინც მოიყაროს თავი.

13. თუ ეროვნულ უმცირესობის მოწაფეთა რიცხვი მე-12-ე მუხლში აღნიშნულ რიცხვზე ნაკლებია, მაშინ მახლობელ სასწავლებლებში იმა ეროვნულ უმცირესობის მოწაფეთა გადაჯგუფება უნდა მოხდეს და მათთვის (შეძლების დაგვარად) ახალი სასწავლებლები თუ პარალელური განყოფილებები უნდა დაარსდეს. ახალი სასწავლებელი თუ განყოფილებები 5 ვერსზე მეტად არ უნდა იყოს დაშორებული მოწაფეთაგან, ხოლო თუ რკინის გზა უდევს—20 ვერსზე.

14. თუ შესაძლებელი შეიქმნა ახალ სასწავლებლის ანდა პარალელურ განყოფილების დაარსება ეროვნულს უმცირესობის მოწაფეთათვის თუ ისინი 10 ნაკლები არ არიან სასწავლებელში—მათთვის ადგილობრივ საგანგებო მასწავლებელი უნდა იქნეს მიწვეული. ერთ კლასიან სასწავლებლისათვის ერთი, ორკლასიანისათვის 3.

15. იმ რაიონებში, სადაც ეროვნულ უმცირესობის მოწაფეთა რიცხვი მეტად ნაკლებია ზემო მუხლებში აღნიშნულ რიცხვზე—მშობლებს არსებულ სასწავლებლებში შეუძლიათ პარალელური განყოფილებათა გახსნა ანდა საგანგებო მასწავლებლის მოწვევა მხოლოდ თავიანთ ხარჯზე.

16. ეროვნულ პირველ დაწყებით სასწავლებლებში რუსულ ენის სწავლება ეროვნულ ოთხ წლიანის სკოლათა ცენტრალ კომიტეტების განკარგულებაზეა დამოკიდებული.

შენიშვნა. ვინც ამ სამოსწავლო წლის დაწყებამდე რუსულს სწავლობდა, ის კვლავ განაგრძობს სწავლას.

III უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლების ნაციონალიზაცია.

17. უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლების პირველ კლასში ამ სამოსწავლო წლიდან სწავლა დედა ენაზე უნდა სწარმოებდეს.

18. ადგილობრივ სასკოლო კომიტეტების შუამდგომლობით საოლქო კომისარიატს უფლება ეძლევა ნაციონალიზაცია დანარჩენ კლასებშიც შეიტანოს თუ ამას ფინანსები ხელს შეუწყობენ და ეროვნულ უმცირესობის მოწაფეთა ინტერესებსაც დაიცავენ.

19. ეროვნულ უმცირესობის მოწაფეთათვის პარალელური განყოფილებები გაიხსნება, თუ თითო განყოფილებისათვის თით-ოთი მოწაფე მოიყრის თავს.

20. თუ უმცირესობათა ინტერესების დაცვა ფინანსიურ მიზეზებით შეუძლებელი ხდება—ასეთ კლასის ნაციონალიზაცია სხვა დროისათვის იდება.

21. პარალელური განყოფილება 10-ზე ნაკლებ ეროვნულ უმცირესობის მოწაფეთათვისაც გაიხსნება, თუ სასწავლებლის შეძლება ამას აიტანს.

22. რუსული ენის სწავლა I კლასიდან იწყება.

შენიშვნა. ვინც ამ სამოსწავლო წლიდის რუსულს სწავლობდა—ის კვლავ განაგრძობს მის სწავლას.

IV საშუალო სასწავლებლების ნაციონალიზაცია.

23. საშუალო სასწავლებლების ნაციონალიზაციის დროს ახედველობაში უნდა იქნეს არა მარტო მოწაფეთა შემადგენლობა არამედ იმ მცხოვრებთა ეროვნული შემადგენლობა, რომელსაც ესა თუ ის სასწავლებელი ემსახურება.

24. ეროვნულ უმცირესობის მოწაფეთათვის პარალელური განყოფილება გაიხსნება იმ შემთხვევაში, თუ თითო განყოფილებისათვის ათ-ათი მოწაფე მოიყრის თავს. პარალელური განყოფილება ათზე ნაკლებ მოწაფეთათვისაც გაიხსნება, თუ ამას სასწავლებლის შეძლება აიტანს.

25. თუ უმცირესობათა ინტერესების დაცვა ფინანსიურ მიზეზებით შეუძლებელი ხდება ასეთ კლასის ნაციონალიზაცია სხვა დროისთვის გადაიდება.

26. ამ სასწავლო წლიდან საზოგადო განათლების საშუალო სასწავლებლებში მხოლოდ უმცროს განყოფილებისა და მოსამზადებელ კლასის ნაციონალიზაცია მოხდება.

თუ სასწავლებელში მხოლოდ ერთი განყოფილებაა (უმცროსი) მისი ნაციონალიზაცია ხდება.

27. საოლქო კომისარიატს უფლება ეძლევა, საგანგებო კომიტეტების 130 მუხლზე შუამდგომლობით ნაციონალიზაცია დანარჩენ კლასებშიც შეიტანოს. თუ ფინანსები ნებას იძლევიან და ეროვნულ უმცირესობის მოწაფეთა ინტერესებს დაიცავენ.

28. საზოგადო განათლების საშუალო სასწავლებლებში რუსულ ენის სწავლა პირველ კლასიდან იწყება.

შენიშვნა. ვინც ამ სამოსწავლო წლამდის რუსულს სწავლობდა, იგი მის სწავლას კვლავ განაგრძობს.

V. ნაციონალიზაციის გამახორციელებელი ორგანოები

29. საერთო ხელმძღვანელობა და ზომების დამტკიცება ყველა სასწავლებლებში ნაციონალიზაციის განსახორციელებლად საოლქო კომისარიატს ეკუთვნის.

30. (ქალთა და ვაჟთა) საზოგადო განათლების საშუალო სასწავლებლებში ნაციონალიზაციის პრაქტიკული განხორციელება — ევალება სკოლებში ნაციონალიზაციის შესატანად შედგარ საგანგებო კომიტეტებს. კომიტეტი სდგება თვითეულ ქალაქში. მასში შედიან 10 წარმომადგენელი ქალაქის თვითმართველობიდან, 3 ადგილობრივ სასწავლებელთა კავშირიდან. საგუბერნიო ქალაქებში 3 წარმომადგენელი საგუბერნიო ადმასრულებელ კომიტეტიდან, სამაზრო ქალაქებში 3 წარმომადგენელი სამაზრო ადმ. კომიტეტიდან. კომიტეტის სხდომაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ორ-ორი წარმომადგენელი პედაგოგთა კორპორაციიდან და მშობელთა წრიდან გადამწყვეტ ხმის უფლებით. სადაც თვითმართველობის ორგანოები არ არსებობენ—ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელს არსებულ ადმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელი სცვლის.

კომიტეტის შემადგენლობაში მიიწვევენ ყველა იმ ეროვნებათა წარმომადგენელს, რომელთაც კომიტეტში წარმომადგენელი არ ეყოლებათ.

31. საგანგებო კომიტეტები ადგენენ საზოგადო განათლების საშუალო სასწავლებელთა ნაციონალიზაციის პროექტს და საოლქო კომისარიატს უდგენენ დასამტკიცებლად. კომიტეტების პროტოკოლებს უდგენენ კომისარიატს. პროტოკოლებში უნდა აღნიშნული იყოს, როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის მოსაზრებანი. კომიტეტების ცალკე წევრებს თავისებური მოსაზრებათა წარდგენის უფლება აქვთ.

32. უმაღლეს და დაბალ პირველ დაწყებით სასწავლებლების ნაციონალიზაციის პრაქტიკული განხორციელება. იმ ქალაქებში, სადაც საშუალო სასწავლებლები არსებობს, ევალება სკოლებში ნაციონალიზაციის შესატანად შედგარ საგანგებო კომიტეტებს. კომიტეტებში შედიან უმაღლეს და დაბალ პირველ დაწყებით სასწავლებლების უფროსები გადამწყვეტი ხმის უფლებით.

33. უმაღლეს და დაბალ პირველ დაწყებით სასწავლებლების ნაციონალიზაციის პრაქტიკული განხორციელება. იმ ქალაქებში სადაც საშუალო სასწავლებლები არ არსებობს—ევალება სკოლებში ნაციონალიზაციის შესატანად შედგარ საოლქო ან საგუბერნიო კომიტეტებს.

34. მე-32 და მე-33 მუხლებში აღნიშნულ სასწავლებლების ნაციონალიზაციის პროექტებს, ხსენებული კომიტეტები შედგენისთანავე დასამტკიცებლად საოლქო კომისარიატს უდგენენ.

ერთგვარ ეროვნების მცხოვრებლებით დასახლებულ ქალაქებში კომისარიატს უფლება აქვს უსაშუალოდ გასცეს განკარგულება სკოლის ნაციონალიზაციის შესახებ.

ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე **ვ. ა. ხარლამოვი**

კომიტეტის წევრები მ. ი. პაპაჯანოვი, მ. ი. ჯაფაროვი, გ. ვ. გუტორი.

1917 წ. ენკ. 10.

არტაანის მხარეში

2 ენკენისთვეს არტაანში ცხენი ვერ ვიშოვე და ფეხით მომიხდა ჩვენი უძველესი კულტურის—აკვნის დათვალიერება. დილა ადრიან გავემართე. **კარგი ხეობის** გვერდით თამარეულ ეკლესიის ნანგრევებს გავცდი და **ს. ქვაბის ციხისაკენ** გზას დავადექი. გზაზე ბერძენი მგზავრი შემხვდა, რომელმაც გზა გამასწავლა ამ სოფლისაკენ.

ტყუილად კი არ დაურქმევიათ ამ სოფლისათვის ქვაბის ციხე. ადგილი სადაც ციხეა გაშენებული ქვაბს მოგაგონებს. ციხის მხოლოდ კედლებიღა დარჩენილა, დანარჩენი დანგრეულია. აქ ოდესღაც ქართველებს უცხოვრიათ, დღეს კი მარტოკა ნასოფლარია. ქვაბის ციხიდან **ს. გიულა-ბერთში** მოვედი, სოფელი გიულაბერთი ციცაბო მაღლობზე ტყის პირად გაშენებული, როგორც ამბობენ სულ 30 წელიწადია რაც აქ ბერძნები დასახლებულან, წინათ ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ თურმე. აქ სოფლის ახლო-მახლო 6 ეკლესიის ნანგრევებია. აქაურ მცხოვრებთ უსარგებლიათ ნანგრევებით, მშვენიერი ნათალი ქვები გაუხიდნიათ და ლამაზი სახლები გაუშენებიათ.

მე მიკვირს, რატომ დაურქმევიათ ამ სოფლისთვის „გიულა“, რაც ნიშნავს თათრულად ვარდს და „ბერთი“ კი სომხურად ციხეს, მაშინ როდესაც ყველამ ვიცით რომ ყარსის მიდამოში სომხები არასოდეს ყოფილან და თუ ეხლა არის, ეგენი სათათრეთიდან გამოქცეულები (კახთაგანები) არიან.

შემდეგ **ს. ოლჩაგირში** მივედი. აქ 69 კომლი ანუ 514 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. აქვე სოფელში და მის გარშემო სამი ეკლესიის ნანგრევებია, ზოგან მარტო კედლებიღა დარჩენილი და ზოგან მხოლოდ ნაშთია. აქედან გვერდით წამოვედი **ს. დუდუნაში**, სოფ. დუდუნა მტკვრის პირადაა გაშენებული, აქ მტკვარი დუდუნით მიექანება თავქვე, ალბათ სოფლისათვის დუდუნა ამიტომ დაურქმევიათ ქართველებს. აქ 14 კომლი, ანუ 165 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. სოფლის გარედ, აღმოსავლეთის მხრით ერთი მოზრდილი თამარ ისეული ეკლესიის ნანგრევია, რომლის მარტო საძირკველიღა მოსჩანს, იქვე ვეებერთელა შეკრული ქვების ხროვა ჰყრია. აქვე მტკვრის გაყოლებით **სოფელი თამაშა** მოვედით. თამაში ოდესღაც დიდი სოფელი ყოფილა, მაგრამ ნანგრევებიღაა დარჩენილი, ბერები ამბობენ რომ 77—78 წელს რუს-თათართა ბრძოლის დროს აქ მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები ზოგი ამოჟლიტეს რუსებმა და ზოგიც ოსმალეთში გადასახლდა. აქვე ნასოფლართან მტკვრის მაღალ კიდის მახლობლად ერთი დიდი ეკლესიის ნანგრევია, რომლის კედლებიდან ნათალი ქვები ვიღაც ბოროტ სულს ჩამოუცლია და მარტოკა კირის კედლებიღა დაუტოვებია. **ს. ფურიც** (ქართული სახელია) იქვე ახლოს იყო, იქაც გადავედით, აქ მცხოვრები 33 სული ქართველი მაჰმადიანები არიან. სოფლის განაპირას ერთი პატარა კედლებით გაცარცული ეკლესია დგას ნახევრად დანგრეული, აქვე სოფელში ერთი მოზრდილი ეკლესიაა, თითქმის სულ მთელი. შემდეგ იწყება თავქვე და აქ მტკვრის პირად სოფელი **ორი ყიზია**, რაც ნიშნავს „ორს ქალიშვილს“. აქ 32 კომლი, ანუ 217 სული ქართველი მაჰმადიანები სცხოვრობენ. აქვე შიგ სოფელში ერთი პატარა ეკლესია დგას, რომელიც ნახევრამდე ქვებისაგან გაძარცულია, ორი-ყიზის პირდაპირ მტკვრის გაღმა **ს. ყიზილ-კილისაა**, რაც ნიშნავს ქართულად ოქროს საყდარს. გადავედით მტკვარზე. ყიზილ-კილისაში. დღეს არავინა ცხოვრობს, მას იგივე ბედი მოსვლია, რაც **ს. თამაშს**. აქვე მაღლობზე, სოფლის გარედ ერთი მოზრდილი საყდარი სდგას, ესეც ქვებისაგან გაცარცულია. კედლებიც უკვე დანგრევია, რომლის ნაშთი აქა-იქა-ღა სჩანს. 6 ვერსით მოშორებულს ყიზილ-კილისას, სოფელი **კრი-ვარდოსანია**, ან ვარდოსანი, მხოლოდ „კრი“ არ ვიცი რა არის. აქაც ოდესღაც ქართველი მაჰმადიანები ყოფილან, მაგრამ დღეს კი არავინაა, სოფელი გაოხრებულია. აქაც ერთი პატარა ეკლესიაა, მაგრამ დანგრეული, აქედან 3—4 ვერსის სიშორეზე, მაღლა გორაკზე სოფელი **ქობალი** მოსჩანს, ქობალი მეგრული სიტყვაა, რაც ნიშნავს პურს. აქ 19 კომლი, ანუ 106 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. ეს სოფელი ძრიელ ნაქებია პურის მოსავლით, ალბათ ამისთვის დაურქმევიათ „ქობალი“. აქვე პატარა ეკლესიის ნანგრევი, რომლის მარტოკა გაშიშვლებული დაბალი კედლები მოსჩანს. ს. ქობალიდან აღმოსავლეთის მხრით 4—5 ვერსის მანძილზე **ს. ჩიხირეთი** სძევს. სოფელში არავინ სცხოვრობს, გაოხრებულია. იქვე სოფლის პირად მდინარეს გაღმა პატარა ეკლესიის ნანგრევია. აქედან დასავლეთის მხრით, კლდის ძირას, მდინარე წყაროსმანის პირად ერთი დიდი ციხეა გაშენებული, რომელსაც სახელად „კირ-ნავი“ ჰქვია, ალბათ ქართული სახელია. ამ ციხეს არტაანის ოლქში სიდიდით მეორეზე ადგილი უჭირავს. ციხის კედლები აქა-იქ არის დანგრეული, დანარჩენი მთელია. ვიღაც ბოროტ ადამიანს ორ ადგილას სამ-სამ საჟენის სიგრძეზე თითო არშინის სიღრმე გამოუთხრია კედლები, საკმარისია კიდევ ერთი არშინის გამოთხრა, რომ კედლები წაიქცეს. კარგი იქნება ქართველი ეთნოგრაფიული საზოგადოება ყურადღებას მიაქცევდეს ამას. შიგნით ციხის კედლებზე მრავალი სახლებია მიდგმული, შიგაც შუაგულშიაც ყოფილა, არ ვიცი სახლი და არ ვიცი ეკლესია, რადგანაც დანგრეულია და მარტოკა ნანგრევები-ღა სჩანან. შემდეგ იწყება სარდაფები. ციხის კედლიდან შიგნით გაყვანილია განზე გარედ თხრილი მიწაშიგ, არ ვიცი რა არის, მე მგონია მღვიმე არ უნდა იყოს. ქვეშ წყაროსმანის გაყოლებით, დაბლაში, სადაც მდინარე წყაროსმანი გაგლეჯილი ეხეთქება დიდ ვეებერთელა ქვას სდგას **ს. უგირალის ციხე**. ამ სოფლისთვის მე მგონია შესაფერისი სახელი მიუციათ. ს. უგირალის ციხე დღეს დანგრეულია, მასზე მხოლოდ-ღა სოფლის ნანგრევები მოსჩანს. სოფლის ზემოდ გორაზე პატარა ციხე სდგას, რომლის ნაშთიღაა დარჩენილი. სოფელში პატარა ეკლესიის ნანგრევიცაა. უგირალის ციხიდან მარჯვნივ, სამ-ოთხი ვერსის მანძილზე **ს. ჩალუხი** დევს. აქაც სულ წინათ თამარ მეფეს ეკლესია აუშენებია, მაგრამ უკვე ნახევრად დანგრეულია. სოფელიც გაოხრებულია. ოთხი ვერსის შემდეგ იწყება ალმართი და აი, ამ ალმართზე **ს. ფოქრობია** გაშენებული. აქ თურქმენები ცხოვრობენ. სოფლის გარედ ერთი საშუალო სიდიდის ეკლესიის ნანგრევია. იქვე ახლოს **ს. მახხარაა**, აქაც თურქმანები სცხოვრობენ. იქვე შუა სოფელში პატარა ეკლესიაა, რომლის გაცარცული კედლები-ღა მარტოკა დგას. ს. მახხარიდან აღმოსავლეთით, 4—5 ვერსის სიშორეზე მაღლა გორაზე **ს. ხანამ ბექა** მოსჩანს. ეს ოდესღაც კარგა მოზრდილი სოფელი ყოფილა, მაგრამ დღეს გაოხრებულია, აქაც პატარა ეკლესიის ნანგრევია. აქედან სულ სამი საათის სავალზეა ცხენით ზემო და ქვემო-**ტიკანამდე** 50 კომლი, ანუ 522 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. ბევრმა აქაურებმა იციან ქართული ლაპარაკი, მხოლოდ ზემო ტიკანში კი 30 კომლი, ანუ 278 სული ქართ. მაჰ. და 23 კომლი, ანუ 180 სული ყარაფაფახები, ორივე ტიკანში პატარა ეკლესიების ნანგრევებია. აქ ს. ხანახი თუმც ახლოს იყო, მაგრამ ჩვენ **ს. ფარდოხანის** გავუხვიეთ, სადაც 42 კომლი, ანუ 246 სული ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. სოფელი ფარდოხანის მდებარეობა, მართლაც, რომ შეედრება სახელს: ირგვლივ დია ადგილი, მშვენიერი ბუნება, წმინდა ჰაერი, აქვე ახლო წმინდა ანკარა წყალი ჩადის, რომელშიაც პატარა კალმახები ციბრუტივით დასრიალებენ. მთელი ეს ბუნება ჰხიბლავს კაცს და თანაც ძალა-უნებურად იპყრობს ადამიანის გონებას.

— რატომ ჰქვიან ამ სოფელს ვარდოსანი—დავეკითხე იქვე ჩემს გვერდით მდგომ ადგილობრივ ბებერ ქართველ მაჰმადიანს, რომელიც ქართულს კარგათ ლაპარაკობს.

— ალბათ იმიტომ, რომ აქ სოფლის განაპირას ტყის ვარდები ჰხარობს, მითხრა მან და ხელი ვარდის ჩირგვებისაკენ მიმიშვირა. იქვე ვარდების ჩირგვებთან ორი ეკლესია იყო ერთიც და მეორეც სოფლის მეორე განაპირას იდგნენ, ერთი მოზრდილი, მეორე კი პატარა. ორივე დანგრეულა, მარტო კედლები-ღა დარჩენილა. უკვე ღამდებოდა. მალე **ს. ქ. ხანახში** მივედით. აქ სამი ეკლესიის ნანგრევებია, სადაც ნაცვლად კედლებისა კირში შეჯუღლებული ქვები-ღა გდია, სულ დაუმტვრევიათ ალბად ბერძნებს. როგორც გვიტყვეს, ბერძნებს აზრუმის ქართულ ეკლესიაში ერთი არშინის სიდიდე ხის ღვთის-მშობლის ხატი უპოვნიათ ამ 30 წლის წინეთ და აქ ქვემო ხანახის ეკლესიაში მოუტანიათ. ხატს ქართული წარწერა ჰქონია. მდაბიო ხალხსა სჯერა, ეს ძრიელი ხატია, რასაც სთხოვ ასრულებსო. წელიწადში ორჯერ დღესასწაულობენ ხატის პატივსაცემად 8 ენკენისთვეს და აპრილის შუა რიცხვებში. მინდოდა მენახა ხატი, მაგრამ მღვდელი ყარსში წასულიყო. უკვე თვალთ სინათლე აღარ იყო. ძველ მეგობრისაკენ გავეშურე ღამის გასათევად...

ქ. მარტვილელი.

(შემდეგი იქნება)

კორესპონდენცია

სამეგრელოდან

ს. დადინეძე (ზუგდიდის მაზრა). ეს სოფელი ძალიან ჩამორჩენილია განათლების მხრივ, რაც აიხსნება უმთავრესად ინტელიგენციის ნაკლებლობით. არავითარი კულტურული დაწესებულება (გარდა ორ-კლასიან სამინისტრო სკოლისა) აქ არ არსებობს, რომელმაც ბუნებრივად უნდა მიიზიდოს ინტელიგენტური ძალები. ხოლო ისინი, ვისაც შეეძლო გაეკეთებინა რამე, ყოველისფრით ნაკლებ გამჭრიახობას და სიმწიფეს იჩენენ, ეზარებათ გარჯა და რა საკვირველია, თუ სოფელი უპატრონოდ დარჩება. პატარა მაგალითი:

როდესაც კოოპერატივების გახსნა „მოდაში“ გადიქცა, მით უმეტეს, როდესაც ჩვენი ბერხვი სოფელი გარს შემოუდგა კოოპერატივებით, ჩვენმა მამებმაც მაშინ გაახილეს თვალები და დაფუცურდნენ. სოფლის ყრილობამ ამოარჩია ნაცნობი მეთაურები და საქმის მოგვარება მათ ჩააბარა. ეს პირველი საზოგადო საქმე იყო, რომელიც უნდა ეწარმოებინათ საზოგადოების სასარგებლოდ, მაგრამ რით გათავდა საქმე?—მეტად ცუდად: როცა ორასმა საჟენმა ჩაშალა ხალხისათვის ეს ფრიად სასარგებლო საქმე. მეთაურებს მეტი სიმწიფე და საქმის სიყვარულიც რომ გამოეჩინათ, დარწმუნებული ვარ, რომ დღეს ერთი მთლიანი მდიდარი დუქანი გვექნებოდა და გაერთიანებული საზოგადოებაც ახალს რამეს კვლავ შეიტანდა სოფელს ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ ჩვეულებრივად საზოგადო ინტერესზე უფრო მაღლა კერძო ინტერესი აღმაღლდა. ყველას უნდოდა დუქანი მათი სახლის გვერდით ყოფილიყო, ეს კი ვერ მოხერხდა. უთანხმოება საზოგადოებაშიაც გადაისროლეს, სადაც მან კარგი ნიადაგი მოიპოვა და საქმე ჩაიშალა. ეხლა კი ხალხიც ჰგრძნობს თუ რა ჩაიდინა და წინანდელ მეთაურების და[illegible] წინადან საქმის [illegible] რას მიაწევს.

ორბელური.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

კალენდარი

კვირა ენკენისთვის

24

კვირა 18. ხმა 1.

ქართ. წმ. პირ.-მოწ. და მოც. თეკლესი.

კათოლ. წმ. გერარდისა.

სომხ. ალვების ღამე ვარაგა ხაჩისა წმ. გიორგის მარხვისა.

მაჰმად. იექ-შამბე 20 რიც. ზულჰიჯა 1335 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომ რიშონ 21 რ. თიშრისა 5678 წ. ქვ. შექმ.

ორშაბათი ენკენისთვის

25

ქართ. ღირ. ღდ. ჩვენისა ეფროსინესი.

კათოლ. წმ. ავრელისა.

მაჰმად. დუ-შამბე 21 რ. ზულჰიჯა 1335 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომ შენი 22 რ. თიშრისა 5678 წ. ქვეყ. შექმ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისაკენ	საფ.	№ 5,	11.32	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.28	საღ.
[illegible]საკენ	სამგზ.	№ 19,	3, 17	დღ.
„	„	№ 17,	8.19	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.51	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.46	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	12.15	საღ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	8.33	დილ.
„	საფ.	№ 4,	7.41	საღ.
[illegible]	სამგზ.	№ 20,	7.27	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	9.50	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 8,	10.26	დილ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.20	საღ.
ყარს-ჯულფადან	საფ.	№ [illegible]	7.53	დილ.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

კომერციულ ცოდნათა

კურსები

ტ. მ. ფილოიანისა

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ. № 24, ტელ. № 976).

თხოვნების მიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სეკტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

თ—734—26

საავადმყოფო

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მონაწილეობით ავადმყოფებისთვის:

დიდი ვაჭრის ქუჩა № 3. ალექსანდროვის ბაღის ახლო, ტელეფონი 481.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელაშვილი—შინაგან ავადმყოფობისა. დღეში 10—12 ს. ყოველდღე.

ზურაბაშვილი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.

ახვლედიანი—ყელის, ყურის და ცხვირ. —3 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.

ფილიპოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.

მოხე—შინაგანი ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.

ჩიქობავა—შინაგან და ნერვიულ ავ. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.

ბუზაძე—ქალთა და სიფილისი ყოველ-დღე 2—3 საათამდე.

თოხუნიძე—ქალთა და სიფილის ავად. ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.

ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.

[illegible]—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.

[illegible]—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.

ბაგდოევა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.

ალიხანოვა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—70

[illegible]

ძმ. მეგვილოვები

[illegible] ქუჩა, [illegible] № 3, ტელეფონი № 112.

[illegible]

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“

სტამბა „ცხოვრება“ ალექ. კალანდაძისა გაბაევის შესახვევი № 4